გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

ფასი 40 თეთრი

№137 (893) 25 - 26 დეკემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

# „ეს არავისთვის მითქვამს



## პირველი თქვენ იქნებით!“

გვ. 2-3

გადადგომის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილის პირველი სკანდალური ინტერვიუ „ფორბსთან“

## ექსკლუზიური ინტერვიუ თემურ ჭკუასელთან



გვ. 5

არის თუ გიგი უგულავას გადაყენება ივანიშვილის შურისძიება, როგორ აღმოჩნდა „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოში და რატომ დაკარგვინა პოლიტიკამ მეგობარი ბიძინა ივანიშვილი ჩოხატაურის მაჟორიტარ დეპუტატს

## „მარნეულის მურაბის დღე“



გვ. 6

## კახა ბენდუქიძემ ლისის ტბაზე ერთი კვ/მ მიწა ერთ თეთრად გაყიდა?!



გვ. 4

მიწის ელიტური კორუფცია და ნაციონალთა ოფშორული კომპანიები

## სამართალი

### საკანონმდებლო ცვლილება სარეკლამო SMS-ებისგან თავის დასაცავად

გვ. 7

### დეველოპერული კომპანია $m^2$ უძრავი ქონება — ნუცუბიძის ქუჩასა და ყაზბეგის გამზირზე 2 ახალ პროექტს იწყებს

გვ. 9

### 16 წლის ნინო ჩუბინიძის ტრაგედია ავსტრიელებმა გაიზიარეს

რა მოხდა ვენაში და რატომ საყვედურობს ქირისუფალი „აირზენას“ ვენის ოფისს

გვ. 8

# „ეს არავისთვის მითქვამს — პირველი თქვენ იქნებით!“



რუსუდან შელია
557-100-768

**პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომისა და პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილმა რუსულ „ფორბსს“ პირველი ინტერვიუ მისცა. „ვერსია“ გთავაზობთ ამ ინტერვიუს მცირე შემოკლებით, რომელიც ამგვარი ანოტაციით იწყება: ბიძინა ივანიშვილი ჭეშმარიტი ოლიგარქია. 2004 წელს, რუსეთიდან საქართველოში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ, ქვეყანაში ყველაზე მდიდარი ადამიანი გახდა. ამჟამად მისი ქონება 5,3 მილიარდს ითვლის და „ფორბსის“ გლობალური რეიტინგების მიხედვით, მსოფლიოში 229-ე ადგილს იკავებს. პოლიტიკაში 2011 წლამდე არ ერეოდა — თბილისში მას ვერც კი ცნობდნენ, სანამ, მოულოდნელად, ოპოზიციური პარტიის შექმნის შესახებ განცხადება არ გაავრცელა. პოლიტიკაში ჩართვიდან ერთ წელიწადში „ქართულმა ოცნებამ“ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა, თავად მილიარდერი კი, პრემიერ-მინისტრი გახდა. ერთი წლის შემდეგ — 2013 წლის ნოემბერში, დაპირება შეასრულა და პოლიტიკიდან წავიდა, ხელისუფლებაში კი მისი თანამოაზრეები დატოვა. ამ ორი წლის განმავლობაში მას საკმაოდ ბევრი ისტორია გადახდა თავს, რომელსაც პირველად „ფორბსთან“ ინტერვიუში იხსენებს.**

**— 2005 წელს, პარიზში ჩვენი ბოლო შეხვედრისას აღნიშნავდით, რომ ჭორვილაში განცალკევებით ცხოვრობდით და პოლიტიკით არ ინტერესდებოდით. როდის და რატომ შეიცვალა თქვენი განწყობა კარდინალურად?**

— მაშინ ოპოზიციური პარტიები ჩემამდე მოღწევას ვერ ახერხებდნენ — მე აბსოლუტურად ჩაკეტილი ადამიანი ვიყავი, რომელიც არავის ხვდებოდა.

**— მიხეილ სააკაშვილსაც კი?**

— მიხეილ სააკაშვილს „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში, პრეზიდენტად არჩევამდე მცირე ხნით ადრე შევხვდი. მაშინ პარიზში ვცხოვრობდი და, როგორც დანარჩენი საქართველო, სახელისუფლო ცვლილებებით მეც აღფრთოვანებული ვიყავი. საქართველოში მაშინვე გამოვფრინდი მოსკოვის გავლით, სადაც ბიზნესის მიმართულებით მნიშვნელოვანი შეხვედრები მქონდა. რუსეთში მეკითხებოდნენ, საქართველოში რა მოხდაო. ყველას ვარწმუნებდი, ყოველგვარი ცვლილება უკეთესობისკენაა და ახალ ხელისუფლებასთან მეგობრობა უნდა გააგრძელოთ-მეთქი. მაშინ რეალურად ვფიქრობდი, რომ მოვიდა გუნდი, რომელიც ქვეყანას ევროპის მიმართულებით წაიყვანდა. ღამეები არ მეძინა. ვფიქრობდი, როგორ დავხმარებოდი მათ. პირველივე შეხვედრაზე სააკაშვილს ვუთხარი, სახელმწიფო მოხელეებს ხელფასები უნდა გავუზარდოთ-მეთქი. მაშინ მინისტრები და დეპუტატები თვეში 10 დოლარს იღებდნენ. თუ მინისტრის შვილი მშიერია და სკოლაში ვერ დადის, თავად მინისტრი კი მილიონიან კონტრაქტებს ხელს აწერს, კორუფციის შეჩერება საკმაოდ რთული ხდება. სააკაშვილს ვუთხარი, ფულის მისაცემად მზად ვიყავი, შევთავაზე ფონდის შექმნაც, რათა ყველაფერი ოფიციალურად ყოფილიყო და ხელფასების ზრდა ქრთამს არ დამსგავსებოდა. მას გაუხარდა. ჩვენ გამოვიყენეთ სოროსის ფონდი, მაგრამ სოროსის შენატანი ამ ფონდში უმნიშვნელო იყო, მთელი თანხა, რაც ხელფასების ზრდაზე მიდიოდა, ჩემი იყო. 2,5 წელზე მეტი სახელმწიფო მოხელეები, ამ ფონდის წყალობით, მაღალ ანაზღაურებას იღებდნენ. ამასთან, არავინ იცოდა და არც ინტერესდებოდა, საიდან მოდიოდა ეს თანხა. სხვა ფონდი იყო შექმნილი ჯარის დასახმარებლადაც, საიდანაც ყაზარმები შენდებოდა და ჯარისკაცებისთვის ფორმებს ყიდულობდნენ. მანამდე მათ პლედებიც კი არ ჰქონდათ. თვალ-ყურს ვადევნებდი მხოლოდ იმას, რომ ჩემი ფულით იარაღი არ ეყიდათ. იმ პერიოდში პოლიციასაც ვეხმარებოდი...

**— ამ ეტაპისთვის, ჯამში, რა თანხა დახარჯეთ?**

— კონკრეტულ ციფრს არ დავასახელებ, თუმცა საქართველოსთვის ძალიან დიდი თანხა იყო.

**— სააკაშვილი თქვენი მადლობელი იყო?**

— რა თქმა უნდა, მადლობელი იყო, თუმცა ყოველთვის ვეუბნებოდი, ამას შენთვის არ ვაკეთებ-მეთქი. მას არ უნდა ეგრძნო, რომ ჩემი ვალი ჰქონდა. ყოველთვის ვაფრთხილებდი, დაგეხმარები მანამ, სანამ ეს ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება, მერე განზე გავდგები, მაგრამ თუ ეს დახმარება სამტრო საქმეს გააკეთებს, მის წინააღმდეგ წავალ-მეთქი. ამ სიტყვებს სააკაშვილს რამდენჯერმე ვუმეორებდი, ის კი მუდმივად მპასუხობდა — მადლობაო. „ვარდების რევოლუციის“ დროს, ძირითადი ოპოზიციური ტელეკომპანია „რუსთავი 2“ იყო, ამიტომ ჩემი კუთვნილი „მეცხრე არხით“ ხელს არ ვუშლიდი, რეზერვში ვიტოვებდი იმ შემთხვევისთვის, თუ დემოკრატიული მოძრაობა ჩაქრებოდა ან „რუსთავი2“-ის წინააღმდეგ რამე გაუთვალისწინებელი მოხდებოდა. ამ შემთხვევაში გამოღვიძება შეგვეძლო. როცა სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, ვიფიქრე, საფრთხე აღარ არსებობდა და „მეცხრე არხი“ დავხურე. ეს ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა იყო. იმ პერიოდში ჩაკეტილი ვიყავი და მხოლოდ მიხეილ სააკაშვილს ვხდებოდი, ვანო მერაბიშვილს — არა. სააკაშვილი მთავაზობდა სახლში გესტუმრებიო, მაგრამ არ მინდოდა. სახლი ჩემთვის წმინდაა, ამიტომ სხვადასხვა საბაბს ვიგონებდი. ვეუბნებოდი, შესაძლოა, პერსონალმა გიცნოს და ჩვენი შეხვედრის შესახებ ცნობილი გახდება-მეთქი. ამ პერიოდში ტელევიზორს, პრაქტიკულად, არ ვუყურებდი, ამიტომ გვიან შევიტყვე, რომ დემოკრატიის ნაცვლად — ააშენეს ავტოკრატია, მკაცრი ვერტიკალი და მთელი ბიზნესის აკუმულირება მოახერხეს. ეს მაშინ გავიგე, როცა მშვიდობიანი დემონსტრაცია, 2007 წლის 7 ნოემბერს, სასტიკად დაარბიეს. მე ვერაფერს ვხვდებოდი, ხალხი კი, როგორც ჩანს, უკვე მათგან ძალიან იტანჯებოდა.

**— სააკაშვილისგან განმარტების მოსმენა არ გიცდიათ?**

— საკმაოდ მკაცრად დავუსვი კითხვა, მან კი მიპასუხა, რომ იქ არსებობდა საფრთხე, გადატრიალება მზადდებოდა და, მოგვიანებით, ყველაფერს ამიხსნიდა. საღამოს ისინი „იმედში“ შევიდნენ. მას ვუყვიროდი და პოლიციის სასწრაფოდ შეჩერებას ვითხოვდი. მამშვიდებდა და მეუბნებოდა, რომ ასე იყო საჭირო, რადგან სახელმწიფო გადატრიალება მზადდებოდა. თბილისში მეორე დილითვე ჩამოვფრინდი.

**— როგორ მზადდებოდა გადატრიალება?**

— სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზებას არც არავინ აპირებდა, სააკაშვილი, უბრალოდ, მატყუებდა. მას ოპოზიციური ტელევიზია ხელს უშლიდა. ამბობდა, რომ პატარკაციშვილი ებრძოდა და უნდოდა სახელმწიფო გადატრიალება... თუმცა, საბოლოოდ, სააკაშვილმა „იმედი“ პოლიციის დახმარებით წაართვა. სააკაშვილს შეხვედრისას ხელი არ ჩამოვართვი და დაუყოვნებლივ გადადგომა მოვთხოვე.

**— ბადრი პატარკაციშვილთან თქვენ რა ურთიერთობა გქონდათ?**

— ბადრი პატარკაციშვილთან ურთიერთობა არ მქონდა. მას უნდოდა პოლიტიკაში და ამას არც მალავდა, პარტნიორობასაც მთავაზობდა, მაგრამ ვუპასუხე, რომ არც პოლიტიკაში ჩართვა მინდოდა და არც ვინმეს პარტნიორად ქცევა. ის დიდხანს ცდილობდა ჩემ დარწმუნებას. საბოლოოდ შევთანხმდით, რომ ბარიკადების მეორე მხარეს არ მნახავდა. მე მას სიტყვა მივეცი.

**— თქვენ დაგაზარალათ იმ ფაქტმა, რომ სააკაშვილს ინფორმაციულ ვაკუუმში ჰყავდით?**

— რა თქმა უნდა, მე თავისუფალი ქვეყნის მშენებლობა მინდოდა. თავისუფალი ადამიანისა და თავისუფალი სიტყვის მომხრე ვიყავი. ამ დროს კი ვხედავ, სპეცრაზმი ტელევიზიას ხურავს, ჟურნალისტებს ძირს ყრიან და სცემენ, წიხლებს ურტყამენ. ტელეკომპანია ჩაირთვება და გამოირთვება. სააკაშვილს დავემშვიდობე ისე, რომ ხელი არც მაშინ ჩამომირთმევია. ვუთხარი, თუ გადადგები, შენთან ურთიერთობას მხოლოდ მას შემდეგ გავაგრძელებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შენი მტერი გავხდები-მეთქი. ორი დღის შემდეგ დამირეკა და მითხრა, რომ გადადგომის შესახებ განცხადებას გააკეთებდა, თუ დავეხმარებოდი და რჩევებს მივცემდი. ის მართლაც გადადგა. 2008 წლის იანვარში რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა, სადაც კვლავ სააკაშვილმა გაიმარჯვა, თუმცა ამის შემდეგ ოპოზიცია საკმაოდ გააქტიურდა. დავიწყე იმის ანალიზი, რა ხდებოდა ქვეყანაში. მივხვდი, რომ სააკაშვილს პატიოსნად გამარჯვება არ შეეძლო და 10%-ზე მეტი რეიტინგი არ ჰქონდა. საზოგადოება, ჩემგან განსხვავებით, დიდი ხნით ადრე მიხვდა, ვინ იყო, რეალურად, სააკაშვილი და ამიტომ აღარ უყვარდათ. თანდათან მისდამი განწყობა მეც შემეცვალა, თავს ვარიდებდი. როცა მირეკავდა, ტელეფონზე ზოგჯერ ჩემი მეუღლე პასუხობდა და ეუბნებოდა, რომ თავს ცუდად ვგრძნობ. მივხვდი, მხარს ვუჭერდი ადამიანს, რომელიც დემოკრატიის ნაცვლად, დიქტატურას აშენებდა. ჩემი აზრით, მაშინდელი არჩევნები გაყალბდა, სინამდვილეში, უბრალო ბიჭმა, ნაკლებადცნობილმა ლიდერმა გაიმარჯვა. ბადრი მასთანაც მეგობრობდა

**— სააკაშვილის რეჟიმის მმართველობის პერიოდში ხალხს, კონკრეტულად, რა არ მოსწონდა?**

— მთელი ბიზნესი კონტროლდებოდა. მთავარი ოთხეული (სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურა ადეიშვილი და თბილისის მერი გიგი უგულავა, — „ფორბსი“) მთელ ფულს თავისთვის იგროვებდა. მათი შემოსავალი, როგორც ამბობდნენ, თვეში 40-50 მილიონი დოლარი იყო. კოლოსალური შემოსავლებია, განსაკუთრებით, საქართველოს პირობებში. მაშინ არამხოლოდ თითოეული ბიზნესმენი კონტროლდებოდა, ბაზარში თითოეულ გამყიდველსაც კი აკონტროლებდნენ, რომლებიც დღეში ათ დოლარს ვაჭრობენ. მათი მიზანი ადამიანების გაკონტროლება იყო, მაგრამ მოქალაქეებს შემოსავლებსაც ართმევდნენ. ბიზნესმენებს ეუბნებოდნენ, ან ასე მოგვცემ ყველაფერს, ან ციხეში წახვალ და ისე მოგიწევს ბიზნესის დათმობაო. ნახევარი ბიზნესს, მართლაც, თმობდა. ვისაც არ უნდოდა დათმობა, დევნიდნენ, ზოგი საზღვარგარეთ წასვლას ასწრებდა, ზოგიც ვერა. ყველაზე ამაზრზენი ისაა, რომ მათ ესმოდათ, ხალხი ასეთი მშიშარა არ არის და დიდხანს არ დანებდებოდა, ამიტომ გადაწყვიტეს, საზოგადოება დაეშინებინათ. მეზობლების დასანახად ადამიანებს ყოველგვარი მიზეზის გარეშე იჭერდნენ.

**— თუმცა კორუფციის გადალახვა ხომ ასეთი მეთოდებით მოხერხდა?**

— რა თქმა უნდა, ქვედა და შუარგოლში კორუფცია არ ყოფილა. კორუფციას სუფთა ხელებით უნდა ებრძოლო. მთავარ პროკურორს ჰყავდა ჯგუფი, რომელიც 5 ათას დოლარზე მეტი ოდენობის გზავნილებს აკონტროლებდა. ნებისმიერი ფულადი გზავნილი კონტროლდებოდა და ყველაფერი ისე იყო ორგანიზებული, ყველა ფულადი ნაკადი მათთან იყრიდა თავს. როცა ხელისუფლებაში მოვედით, სოფლის მეურნეობის მინისტრს ვთხოვე, შეეკრიბა ბიზნესმენები, რომლებიც მრეწველობის დარგში მოღვაწეობდნენ. მინდოდა მათთან საუბარი, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო სოფლის მეურნეობა და რა დახმარების გაწევა შეიძლებოდა მათთვის. მინისტრმა დამირეკა და მითხრა, შოკში ვარ, ესენი ბიზნესმენები კი არა, მონები არიან, რომლებიც მუდარით გიყურებენო. ისინი ელოდნენ, რომ მათგან ჩვენც რაღაცას მოვითხოვდით.

**— მათ ხარკის გადახდას სთხოვდნენ?**

— არამხოლოდ... მათ ქონების გადაფორმებას სთხოვდნენ. პროკურატურაში 9 800 ადამიანის საქმე დევს, რომლებსაც სახელმწიფოსთვის ქონების ჩუქება აიძულეს. პოლიცია ციხეში ჩასმის მუქარით ბიზნესმენებს აიძულებდა, ქონება სახელმწიფოსთვის ეჩუქებინა. არსებობდა ქონების ჩამორთმევის მეორე გზაც — საპროცესო გარიგება. ადამიანებს აიძულებდნენ, ეღიარებინათ დანაშაული და, პროკურატურასთან მოლაპარაკების შემდეგ, ნებაყოფლობით იხდიდნენ ფულს. ასეთი ათიათასობით შემთხვევა ფიქსირდება. მაგალითად, ერთ ბიზნესმენს სახლი ჰქონდა, რომლის გაყიდვაც უნდოდა. ის სიკვდილამდე სცემეს, თავი გაუტეხეს... მისი სახლის ადგილას კი, სააკაშვილმა საპრეზიდენტო სასახლე აიშენა. ის ადამიანი დღეს პარლამენტარია, მის საქმეს კი პროკურატურა იკვლევს. ნაციონალებს ასეთი მიდგომა ჰქონდათ: თუ ნებაყოფლობით მოგვცემ, შენთან ვიმეგობრებთ, არ მოგვცემ — ციხეში მოგიწევს ჯდომა. ბიზნესმენებს ბოლომდე არ ხოცავდნენ, მაგრამ მონებად აქცევდნენ. უცხოელებთანაც იგივე მიდგომა ჰქონდათ. ჰკითხეთ საშა მაშკევიჩს, მას საქართველოში ფარმაციის მიმართულებით პროექტი აქვს, თუმცა თავად მასა და მის პარტნიორებსაც აქ სასიცოცხლო პრობლემები შეექმნათ. საქართველოში ვერც კი ჩამოდიოდა, რადგან მისი დაპატიმრება უნდოდათ.

**— როდის შეიტყვეთ ამ ყველაფრის შესახებ?**

— 2008 წლის იანვარში, არჩევნების დროს. მანამდე ინფორმაციას მხოლოდ სააკაშვილისა და მერაბიშვილისგან ვიღებდი. მივხვდი, რომ შეცდომას ვუშვებდი და ყველაფერი გამომრჩა, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს საკმაოდ მშვიდად დავემშვიდობეთ. ინაუგურაციის დღეს სააკაშვილს დავურეკე და ვთხოვე, აღარ შევეწუხებინე, თუმცა კიდევ დიდხანს ცდილობდა ჩემთან შერიგებას. სწორედ ამ პერიოდიდან ყურადღებით ვაკვირდებოდი, ქვეყანაში რაც ხდებოდა. იმისთვის, რომ დასავლეთისთვის თვალში ნაცარი შეეყარათ, მხოლოდ ორი დამოუკიდებელი არხი „მაესტრო“ და „კავკასია“ დატოვეს. მათი საშუალებით პოლიტიკოსები საკუთარ აზრს აფიქსირებდნენ. მათ იმ მიზნით ვუყურებდი, რომ პარტია შემერჩია, რომლის მხარდაჭერაც მომავალ არჩევნებზე ლეგიტიმური ხელისუფლების მოსაყვანად შეიძლებოდა. სამი წელი ვუყურე და მივხვდი, რომ არავის იმედი არ უნდა მქონოდა, ამიტომაც გადავწყვიტე, პროცესში თავად ჩავრთულიყავი. თუმცა აქ დარჩენაც სახიფათო იყო. 2010 წელს სწრაფად დავასრულე პარიზში სახლის მშენებლობა და წასვლა გადავწყვიტე. ერთადერთი პირი, რომელსაც ისინი უბრალოდ აკვირდებოდნენ, მე ვიყავი, დანარჩენი, ყველა გაანადგურეს. არავის შეეძლო ოპოზიციის დაფინანსება. დარჩენილი პრინციპული ადამიანები, ვინც არ დანებდა, ბოლომდე გამოწურეს. ჩემი გამარჯვების შემდეგ ყველანი შევკრიბე.

**— გასამგზავრებლად მზადება 2010 წლის შემოდგომისთვის დაიწყეთ, მაგრამ 2011 წლის შემოდგომამდე არსად წასულხართ.**

— საბოლოო გადაწყვეტილების მიღება საკმაოდ რთული იყო. ჩვენ ხომ მხოლოდ ევროპაში გასეირნებას კი არა, საქართველოს სამუდამოდ დატოვებას ვგეგმავდით. დედაჩემი 92 წლისაა, მას არ უნდოდა სოფლის დატოვება. მეუღლეს კი პარიზი ძალიან მოსწონს და გასამგზავრებლად მზად იყო. ასე რომ, ვმერყეობდი. ამასობაში, მოვახერხე იმის გარკვევა, რომ ჩემ კუთვნილებაში არსებული ჰოლდინგ „ქართუს“ პრეზიდენტი გიგა ჩრდილელი ხელისუფლების აგენტი იყო. მან ბევრი იცოდა ჩემი გეგმებისა და საქართველოში ბიზნესის შესახებ და ინფორმაციას სააკაშვილს აწვდიდა. ამის გამო იგი აბსოლუტურად ამაზრზენი და საშიში გახდა. აქ ვერავის ენდობოდი. როცა მივხვდი, რომ გიგა ჩემზე ჯაშუშობდა, მისი მეშვეობით მნიშვნელოვანი სიგნალების მიწვდენა დავიწყე. მათ უნდოდათ, რაც შეიძლება სწრაფად წავსულიყავი, მეც ვამყარებდი მათ თავდაჯერებულობას, რომ ეს ძალიან მალე მოხდებოდა. მე არ ვფიქრობდი დარჩენას. დარჩენა კი რეჟიმთან ბრძოლის გამოცხადებასა და პირველივე შეტევაზე სიკვდილს ნიშნავდა. არ მინდოდა, გამერისკა და ჩემი ოჯახის უსაფრთხოება მსხვერპლად გამეღო, მაგრამ ყველაფერი ერთ წუთში გადაწყდა. ერთ საღამოს ჩემი მეუღლე მოვიდა და მითხრა: ვიცი, რომ იქ ცხოვრებას ვერ შეძლებ. შენ უნდა დარჩე და ხალხის დახმარება სცადო. მე ხომ ვიცი, შენ ეს გინდა.

**— პოლიტიკური ლიდერი მართლაც თქვენი უფროსი შვილი უტა უნდა გამხდარიყო?**

— არა, ეს მხოლოდ ინსცენირებული იყო. 2011 წლის 7 ოქტომბრამდე, ჩემი პირველი განცხადების გაკეთებამდე სამი დღის განმავლობაში, ოჯახთან ერთად სპექტაკლს ვთამაშობდით, თითქოს ჩემი უფროსი შვილი პარიზიდან ჩამოსვლასა და რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას აპირებდა. ეს არავისთვის მითქვამს — პირველი თქვენ იქნებით.

**— ინსცენირება რისთვის დაგჭირდათ?**

— მათ რომ გაეგოთ, პოლიტიკური განცხადების გაკეთებას ვაპირებდი, ამის საშუალებას არ მომცემდნენ, მომკლავდნენ. საჭირო იყო მათ გაეგოთ, რომ ჩემი სიკვდილის შემთხვევაში, ჩემს ადგილს, ჩემი შვილი დაიკავებდა. უნდა დაგვერწმუნებინა ისინი, რომ უტა შეძლებდა ოპოზიციის ლიდერობას. ვინ იყო უტა — აქ არავინ იცოდა. ის ცხოვრობს პარიზში, სწავლობს უნივერსიტეტში. უტა მშვიდია, ბუზს არ აწყენინებს, განსხვავებით ბერასგან. ბერას ისინი კარგად იცნობდნენ. მან რეჟიმის წინააღმდეგ უამრავი სიმღერა დაწერა და ასი ათასი ადამიანის სტადიონზე შეკრება შეძლო. მას ემუქრებოდნენ, თუმცა არაფრის ეშინია. ეგონათ, უტა ძმაზე დაუნდობელი იყო, ამიტომ დაიჯერეს, რომ მას აქტიური პოლიტიკური



# გადადგომის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილის პირველი სკანდალური ინტერვიუ „ფორბსთან“

პროცესების წარმართვა შეეძლო. მე და ჩემმა მეუღლემ, სანდო ხალხის მეშვეობით, უტას გადავუგზავნეთ სცენარი, როგორ უნდა მოქცეულიყო და ასევე ჩემი განცხადებების ასლები. იმ შემთხვევაში, თუ ამ განცხადების გავრცელებას საქართველოში ვერ შევძლებდი, ამას გაახმაურებდნენ საინფორმაციო სააგენტოები პარიზსა და შვეიცარიაში. სცენარის შესაბამისად, უტამ დამირეკა და მითხრა, რომ თუ მე არ ვაპირებდი პოლიტიკაში წასვლას, ის დაბრუნდებოდა პარიზიდან და რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებდა. ვყვიროდი, რომ ის სულელია, ვცდილობდი, გადაეფიქრებინა ამის გაკეთება, ვპირდებოდი, რომ ჩავიდოდი პარიზში და იქ დავილაპარაკებდით. მპასუხობდა, რომ არც შემხვდებოდა და არც დამელაპარაკებოდა, თუ მე ქვეყანას მივატოვებდი და წავიდოდი, ეს სირცხვილი იქნება და ჩვენ თბილისში უნდა შევხვდეთო — მეუბნებოდა. ჩვენი ეს საუბრები, რა თქმა უნდა, ისმინებოდა. მეორე დღეს გიგა ჩრდილელს შევჩივლე, რომ შვილს ვერაფერს ვუხერხებ და პარიზში ჩასვლას მიკრძალავს. მან მითხრა, რომ თვითმფრინავი უკვე შეკვეთილი იყო. შემდეგ კი სხვათა შორის, ვაცნობე, რომ უფროს შვილს დიდი ხანია 500 მილიონი გამოვუყავი, რომლის განკარგვაც თავად შეეძლო. არადა, მსგავსი რამ არც ყოფილა. საღამოს მოვილაპარაკეთ, რომ გიგა პარიზში წავიდოდა და ჩემ შვილს ანგარიშებს ჩემი მინდობილობით დაუბლოკავდა. ჩამოვუწერე, თუ სად ინახებოდა ჩემი ანგარიშები. ყველაფერი საკმაოდ ბუნებრივად გავითამაშეთ. გიგა ჩრდილელმა ერთ დღეში საფრანგეთის ვიზა მიიღო და უკვე გაფრენას აპირებდა, რომ აქ უკვე თამაშში ჩემი მეუღლე ჩაერთო — მან დაურეკა უტას და გაბრაზებულმა უთხრა, რომ მისი ანგარიშების დაბლოკვას ვაპირებდი. ისიც უთხრა — მამაშენი დაბერდა, ყველაფრის ეშინია, მისცა მინდობილობა ვიღაც ნაძირალას, რომ დახუროს შენი ანგარიშებიო. უთხრა, ჩამოდი, მე დაგიჭერ მხარს, მისი ფულის განკარგვა ისევე შემიძლია, როგორც მასო. ჩემს მეუღლეს, მართლაც, შეუძლია ჩემი ანგარიშების განკარგვა და ეს გიგა ჩრდილელმა ძალიან კარგად იცოდა. ამის შემდეგ, დავურეკე გიგას და ვუთხარი, რომ აზრი არ ჰქონდა, უტას ანგარიშების დაბლოკვას, რადგან ჩემი ოჯახი წავიდა ჩემს წინააღმდეგ. ვუთხარი, რომ არსად წასვლას არ ვაპირებ და დაველოდები აქ ჩემს შვილს.

მეორე დღეს, ირაკლი ღარიბაშვილი ჰოლდინგ „ქართუს“ პრესსამსახურში გავგზავნე, რომელსაც კონტაქტები ჰქონდა საინფორმაციო სააგენტოებთან. ირაკლიმ მას სთხოვა, განცხადება გადაეგზავნა საინფორმაციო სააგენტოებისთვის. პრესმდივანმა უარი თქვა იმ მოტივით, რომ უნდა გაევლო კონსულტაციები, უშუალოდ, გიგა ჩრდილელთან. მაშინ ირაკლიმ დამირეკა და ყურმილი გადასცა პრესმდივანს. მე ვუთხარი, რომ ჩემთვის უნდა მოესმინა, რადგან მე ვიყავი ამ ჰოლდინგის მფლობელი. მან იტირა. მეგონა, აქ სირთულეები შემექნებოდა — პრესსამსახურის გოგონა გიგასთან მუშაობდა და მხოლოდ მის ბრძანებებს ასრულებდა. მას შეეძლო, გარკვეული საბაბით უარი ეთქვა ან საიდუმლო გაენდო ან კიდევ სხვა რამ მომხდარიყო, მაგრამ, გაგვიმართლა, რომ ეს გოგონა სულელი აღმოჩნდა. მან ჩემი მოთხოვნა დააკმაყოფილა. სააგენტოებმა ჩემი განცხადება მიიღეს და სწრაფად გამოაქვეყნეს.

**— თქვენ გეშინოდათ, რომ მოგკლავდნენ, თუმცა ჯერჯერობით, არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი მკვლელობის მონაწილეები არიან. მათ შორის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას მკვლელობისა...**

— ნახავთ, ძალიან ბევრი მკვლელობის საქმე გაიხსნება. ჟვანიასთან დაკავშირებით კი არსებობს დიდი ეჭვი. გამოძიება ხომ არ ჩატარებულა, მხოლოდ ახლა დაიწყო. გამოძიება არ დაწყებულა ახალგაზრდა ბანკირის (სანდრო გირგვლიანი) მკვლელობაზეც, რომელიც, უბრალოდ, ყველას თვალწინ მოკლეს. სტრასბურგის სასამართლოს დასკვნაში ნათქვამია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი და პრეზიდენტი გამოძიებას ხელს უშლიდნენ. მერაბიშვილი ახლა ციხეშია და ამ ბანიკირის მკვლელობა ერთ-ერთია იმ ბრალდებებიდან, რომელშიც ადანაშაულებენ. ვერც კი წარმოიდგენთ, აქ რა ხდებოდა. ზოგიერთი ამერიკელი და ევროპელი ხვდებოდა ამას, მაგრამ ძირითადად ეგონათ, რომ საქართველოში დემოკრატია შენდებოდა, რადგან სააკაშვილი კოლოსალურ თანხებს ხარჯავდა პიარზე.

**— როცა განცხადება გაავრცელეთ, დაწყნარდით, საფრთხეს აღარ გრძნობდით?**

— ერთი თვის განმავლობაში, როცა მორიგ მიტინგზე მივდიოდი, ჩემი დაცვის უფროსი ძალიან ნერვიულობდა — ჩემთან მოჰქონდა „რეალური მტკიცებულებები“ იმისა, რომ დღეს ხიდთან აგვაფეთქებდნენ ან სნაიპერები, რომლებიც სახურავებზე ისხდნენ, გვესროდნენ. მას სპეციალურად უგზავნიდნენ ცრუ სიგნალებს. ბუნებრივია, საშიშროება, მართლაც, არსებობდა. სახლიდან ყოველი გასვლისას ცოლს ისე ვემშვიდობებოდი, როგორც უკანასკნელად.

**— როგორ აფასებდით თქვენ შანსებს ერთ წელიწადში საპარლამენტო არჩევნებში გასამარჯვებლად?**

— ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავი, რომ გავიმარჯვებდი, მათგან განსხვავებით. ისინი ხომ აქ ყველაფერს აკონტროლებდნენ. ამერიკელები და ევროპელები ბოლო მომენტამდე ფიქრობდნენ, რომ სააკაშვილი გაიმარჯვებდა. ეგონათ, მათი პარტია 60%-ს მიიღებდა, თუმცა არჩევნების მიჯნაზე ნათელი გახდა, ხალხი ვის მხარეს იყო. სააკაშვილი არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე მიტინგზე არათუ ხალხის შეკრებას, სტადიონის შევსებასაც კი ველარ ახერხებდა. ხალხის შეკრების იდეა კი მე „ვუკარნახე“. ერთ-ერთ თანაგუნდელს ტელეფონით სპეციალურად ვუთხარი: როგორი იდიოტია, კამპანია იწურება და იმასაც ვერ მიხვდა, ხალხი მიტინგზე გამოეყვანა-მეთქი. მათ ეს მოისმინეს და მიტინგის ორგანიზება გადაწყვიტეს, რაც აბსოლუტური მარცხი იყო. ჩვენს მიტინგზე 28 სექტემბერს თითქმის მთელი ქალაქი — 800 ათასი ადამიანი მოვიდა. ამ პირობებში არჩევნების გაყალბება მათთვის გართულდა.

**— როგორ ფიქრობთ, ხალხი რატომ გიჭერდათ მხარს?**

— ხალხს ადრე ნანახი არ ვყავდი, თუმცა ჩემ შესახებ ბევრი იცოდა. არასოდეს ვამბობდი იმას, რასაც ვაკეთებდი, თუმცა ინფორმაცია ჟონავდა. მე ხომ 20 წლის განმავლობაში ქვეყანას ვეხმარებოდი, ამას როგორ დამალავ?! ასობით კილომეტრი ასფალტი დავაგე, იმ ადგილებშიც კი, სადაც სატვირთო მანქანებიც კი ვერ დადიოდნენ. სხვა ბევრი საქმეც გავაკეთე.

**— ასეთი ტიპის პროექტებზე რამდენი დახარჯეთ?**

— ჯამში სამ მილიარდზე მეტი. მათ შორის, ხელისუფლების დახმარებისთვის, რაც ოფიციალურად არ ფორმდებოდა. ჩემსა და ჩემ ოჯახზე კი ხუთ მილიონზე მეტს წელიწადში არ ვხარჯავ. არჩევნებზე კი, პრაქტიკულად, არაფერი დაგვიხარჯავს. რეკლამებიც კი არ გვქონდა. ყველა მედიასივრცე ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა დაკავებული, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა კავშირის პერიოდში. ჩემი შვილი ბერა ძალიან დამეხმარა — რეგიონებში თავის კონცერტებზე ათასობით ადამიანს აგროვებდა. ჩემი მხრიდან საკმაოდ ბევრი ეშმაკური ნაბიჯი გადავდგი, რის საფუძველზეც გავიმარჯვეთ. მაგალითად, პარტიის შექმნის შესახებ ჩემი განცხადებიდან სამი დღის შემდეგ, სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა ჩამომართვა, რაც ამერიკელებსა და ევროპელებს არ მოეწონათ. წინასაარჩევნო კამპანიის დროს მას უნდოდა, ჩემთვის მოქალაქეობა დაებრუნებინა, რაც მისი მხრიდან ლამაზი ჟესტი იქნებოდა. ჩვენ ეს ფაქტი თავიდან უნდა აგვეცილებინა. ამიტომ ერთ-ერთ მიტინგზე ხმამაღლა განვაცხადე — აბა, ერთი, გაბედოს და მოქალაქეობა არ დამიბრუნოს-მეთქი და ა.შ. ვიცოდი, მის სულში წინააღმდეგობები დაიწყებოდა. ის საკმაოდ პრიმიტიული ადამიანია. ასეც მოხდა. მოქალაქეობა არ დამიბრუნეს და უცხოელებთან ურთიერთობაში ეს კოზირი ჩემ ხელში დარჩა. მიხეილ სააკაშვილის ფსიქიკა კარგად ვიცი, მას ბევრი ასეთი ფოკუსი მოვუწყვე.

**— არჩევნების შემდეგ პრემიერ-მინისტრი გახდით, თუმცა სააკაშვილი პრეზიდენტის თანამდებობაზე დარჩა. ასეთ პირობებში როგორ მუშაობდით?**

— ერთი წლის განმავლობაში განძრევის საშუალებას არ გვაძლევდნენ. ნებისმიერი დაკავება, ნებისმიერი დაკითხვაც კი აშშ-სა და ევროპას ფეხზე აყენებდა. ახლა ისინი მოეშვნენ, რადგან ნაბიჯ-ნაბიჯ ვუმტკიცებდით, რომ ქვეყანას დამნაშავეები მართავდნენ. ჩვენ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი და თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია დავაკავეთ, ეს იყო მაქსიმუმი რისი გაკეთებაც შევძელით. გენერალური პროკურორი ადეიშვილი კი ჯერ კიდევ არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე გაიქცა.

**— თქვენი პარტიის დასახლება „ქართული ოცნება“ ვინ მოიფიქრა?**

— ბერამ. მის სტუდიას ასე ჰქვია — „ქართული ოცნება“. ბერამ ჩემ გამო ორი წელი დაკარგა, ახლა ისევ წავა ამერიკაში, სადაც ორი ახალი პროექტი იწყება. მას ბევრი სიმღერა აქვს როგორც ქართულ, ისე ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

**— როცა გაიმარჯვეთ, პირველ რიგში, რა ამოცანები დაისახეთ?**

— მთავარი სწორი მიმართულების გაკეთება იყო. ახლა გარანტიას გაძლევთ, რომ ჩვენი გუნდი, ხელისუფლება ევროპული ქვეყნების ხელისუფლებას არ ჩამორჩება. კორუფცია არ არის. ისინი პროფესიონალები არიან და ხელფასზე კეთილსინდისიერად მუშაობენ. უფრო სუსტებიც არიან, სადღაც 20%, მაგრამ ისინიც კარგად მუშაობენ. მიმაჩნია, რომ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ საოცრება მოვახერხეთ.

**— რითი შეგიძლიათ დღეს იამაყოთ?**

— პირველ რიგში, იმით, რომ პოლიცია, რომელიც ადრე საკუთარ ხალხს ჩაგრავდა, მთლიანად გადაეწყო და ევროპული ტიპის გახდა. ახლა ხალხი მათ ენდობა.

**— თუმცა ყოველთვის ამბობდით, რომ ეს სააკაშვილის დამსახურებაა.**

— გეთანხმებით, ჩვენ ამ მიღწევებს ვიყენებთ, მაგრამ კორუფცია ზედა რგოლში იყო. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ თავად გამდიდრებულიყო.

**— თუმცა მან საკმაოდ მკაცრი სისტემა შექმნა. ყველამ შეწყვიტა ქრთამის აღება, რადგან ეშინოდათ. თუ შიში გაუქრებათ, შემდეგ რა იქნება?**

— ახლა მკაცრი სისტემა არ არის, თუმცა კანონს ყველა იცავს.

**— და ეს როგორ მოახერხეთ?**

— ქართველები თავისუფლებისმოყვარული, კულტურული ერია. სააკაშვილი კი მათ ფეოდალიზმისკენ ექაჩებოდა. ის, რეალურად, დემოკრატი კი არა, ფეოდალია. მას რვა საპრეზიდენტო სასახლე ჰქონდა ქვეყანაში, სადაც ნებისმიერ წერტილში თვითმფრინავით ნახევარ საათში ჩახვალ. ასეთ პრეზიდენტს მსოფლიოში ვერ იპოვით. მას ორი თვითმფრინავი ჰყავდა, ორი ვერტმფრენი და სამი კიდევ შეუკვეთა, რისთვისაც დამატებით 80 მილიონია საჭირო. პოლიტიკიდან წასვლამდე ყველა მეკითხებოდა, დაიჭერენ თუ არა სააკაშვილს. ვპასუხობდი, რომ აქ მართლმსაჯულება უკვე მუშაობს, კითხვები რომ არსებობს, ყველამ იცის. რით დამთავრდება ეს, არ ვიცი.

**— ელიტური კორუფცია როგორ დაამარცხეთ?**

— თევზი თავიდან ყარს. თუ თავად მართალია, მის ირგვლივაც პატიოსან ადამიანებს იკრებს. გუნდში დემოკრატია დავნერგე და სრული ნდობა დავიმსახურე. ყველას შეუძლია, როგორც თანასწორს მეკამათოს, დაიცვას საკუთარი მოსაზრება. ამასთან, მშვენივრად ესმით, რომ ჩემი მოტყუება არ შეიძლება. მაგალითად, ჩემი ერთ-ერთი ახლობელი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ჩვენი პარტიის შტაბს ხელმძღვანელობდა, შეცდომა დაუშვა და მის წინააღმდეგ საქმეც აღიძრა. ის უსაფრთხოების სამსახურს ხელმძღვანელობდა, რომელმაც მიხეილ სააკაშვილის დროს, უამრავი ცნობილი ქართველის შესახებ კომპრომატებით დახუნძლული ვიდეოთეკა შექმნა. ამ სამსახურში 40 ათასზე მეტი ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები ინახებოდა. ამ გადაღებებისთვის, ჩვენი ინფორმაციით, დაახლოებით, 100 მილიონი დოლარი დაიხარჯა. აი, როგორ გამოიყენა ეს ვიდეოთეკა ჩვენმა კოლეგამ: იმის გამო, რომ მისი მისამართით რაღაც ცუდი დაიწერა, ინტერნეტში ატვირთა იმ ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები, რომელსაც პუბლიკაციის გამავრცელებლად მიიჩნევდა. ამ კადრებში გარკვეული სექსუალური სცენები იყო, საიდანაც ნათელი ხდებოდა, რომ ეს ადამიანი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის იყო. ჩვენ ვიდეოთეკა საჯაროდ, სრულად გავანადგურეთ. ჩვენს კოლეგას კი კანონის წინაშე გაასამართლებენ. მეორე მაგალითი: სოფლის მეურნეობის მინისტრი. ის თითქმის ყველაზე ახლობელი ადამიანი იყო. მისმა თანამშრომლებმა არასაჭირო ტრაქტორები შეიძინეს. ჯერჯერობით უცნობია, იყო თუ არა კორუფციის ფაქტი, მაგრამ გამოძიება მიმდინარეობს.

**— და დარწმუნებული ხართ, რომ გუნდი უთქვენოდ აბსოლუტურად სწორად იმოქმედებს?**

— ყველა ხედავს, რომ ჩვენთან შეცდომებს არ პატიობენ. მეტი არაფერია საჭირო. საქართველო პატარა ქვეყანაა, ადამიანების შერჩევისას მათ ვეუბნებოდი: შენ შეგიძლია მომატყუო ერთხელ და ორჯერ, თუმცა მესამედ მაინც გამომჟღავნდები. საქართველოში კორუფცია აღარ იქნება, ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. ერთეული შემთხვევები, შესაძლოა, იყოს კიდეც, როგორც ეს ევროპაში ხდება ხოლმე, თუმცა არა მასშტაბურად. ამის ასპროცენტიან გარანტიას გაძლევთ. ხალხს ამის სიტყვა მივეცი.

**— ახლა რამდენია თქვენი მინისტრების ხელფასი?**

— დაახლოებით 1250-2500 ევრო ხელფასი და ამდენივე პრემია. მათ პერსონალური ავტომობილები ჰყავთ მძღოლებით და დამატებით მცირე პრივილეგიებიც....

**— ნანობთ, რომ პუტინს ვერ შეხვდით?**

— ამის შანსი არ იყო. მე მზად ვიყავი და ხელისუფლებაც შეხვედრისთვის მზადაა., თუმცა საამისო ბაზა არ არსებობს.

**— თუმცა დავოსში მედვედევთან შეხვედრა ხომ შედგა, რაზე ისაუბრეთ?**

— ძალიან მოკლედ ვისაუბრეთ. უბრალოდ, ერთმანეთი გავიცანით.

**— საქართველოს მოქალაქეობა დაგიბრუნეს?**

— ჯერ კიდევ მხოლოდ საფრანგეთის მოქალაქეობა მაქვს. პრემიერი ვიყავი და ამ პერიოდში ჩემთვის მოქალაქეობა რომ მოენიჭებინათ, პოსტზე ყოფნის უფლება არ მექნებოდა. ასე მოახერხა სააკაშვილმა ჩვენი კონსტიტუციის დამახინჯება. უზენაესი სასამართლო ამ საკითხს განიხილავს და, ვფიქრობ, დეკემბრის ბოლომდე, საქართველოს მოქალაქეობას აღმიდგენენ.

**— რუსეთის მოქალაქეობის დაბრუნებას არ გეგმავთ?**

— ჩემი ოჯახის ყველა წევრს რუსეთის მოქალაქეობა აქვს. თუ საჭირო გახდა, რუსეთის მოქალაქეობის დაბრუნება შემიძლია, თუმცა ამის აუცილებლობა ახლა არ დგას.

**— პოლიტიკიდან რამდენად შორს წახვედით?**

— ერთი თვე გავიდა და მხოლოდ ერთი, ოდნავ გამოძინება მოვახერხე. მაშინ ძალიან ბევრს ვმუშაობდი, ახლა ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში ვიმუშავებ. ახლა ვფიქრობ, როგორ შეიძლება ხელისუფლებას დავეხმარო. პირობა დავდე, რომ სამოქალაქო სექტორის განვითარებას დავეხმარები. ადამიანებს ხელისუფლების კონტროლსა და კრიტიკას ვასწავლი.

**— დარწმუნებული ხართ, რომ პოლიტიკაში არასოდეს დაბრუნდებით?**

— დიახ, დარწმუნებული ვარ. ამის პირობა დავდე. როგორც გითხარით, გარანტიას გაძლევთ, რომ ხელისუფლება ნამდვილად დემოკრატიას აშენებს და საქართველოში კორუფცია არასოდეს იქნება.

**— არ გეშინიათ, რომ როგორც კი გადაუხვევთ ან წახვალთ, ყველაფერი დაინგრევა?**

— მე არსად მივდივარ და არც თვალს დავხუჭავ. საზოგადოების აქტიურ წევრად დავრჩები.

# კახა ბენდუქიძემ ლისის ტბაზე ერთი კვ/მ მიწა ერთ თეთრად გაყიდა?!



გიორგი გიორგაძე

**სამართლებრივი წრე თანდათან ვიწროვდება — ნაციონალებს პროკურატურაში სულ ბითუმად იბარებენ. ბაჩო ახალაია, ვანო მერაბიშვილი, დავით კეზერაშვილი და ახლა უკვე გიგი უგულავაც — ე.წ. ნაციონალური სტაფიდან ანუ იმ ადამიანებიდან, ვისაც არაერთი მეწარმე და ბიზნესმენი ქონების წართმევაში ამხელს, ჯერჯერობით, თავისუფალი მხოლოდ ზურაბ ადეიშვილია. საერთოდ, „ადეზე“ ამბობენ, რომ ის გუნდურად კი არა, უფრო დამოუკიდებლად თამაშობდა და ამას, პირდაპირ თუ ირიბად, ბიზნესმენ პაატა კაჭარავას ნათქვამიც მოწმობს: „როცა კეზერაშვილმა დამიჭირა და ქონებას მართმევდა, ადეიშვილთან შუამავალი მივაგზავნე, მაგრამ მან თქვა, ეს კეზერაშვილის საქმეა და მე თავი გამანებეთო.“ ესე იგი, გამოდის, ნაციონალურ ბომონდს საქმეები გადანაწილებული ჰქონდა; ასე, მაგალითად, ამბობენ, რომ მიწის სახელმწიფო მაფიას, უფრო სწორად, მიწის ელიტურ კორუფციას მერაბიშვილ-ბოკერია-უგულავას ტრიუმვირატი ხელმძღვანელობდა.**

მიწით ვანო მერაბიშვილი, პრაქტიკულად, პოლიტიკაში გამოჩენისთანავე დაინტერესდა — 1996 წლის ნოემბერში მიწის ექსპერტების, ეკონომისტების, ადვოკატებისა და ჟურნალისტების ჯგუფმა, უძრავი ქონების მესაკუთრეთა უფლებების დაცვის, მიწის რეფორმის განხორციელებისა და სათანადო საკანონმდებლო გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით, მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია შექმნა, რომლის დირექტორადაც პროფესიით ტოპოგრაფი ვანო მერაბიშვილი აირჩია. ტოპოგრაფი მერაბიშვილი ამ ასოციაციას 1999 წლამდე ანუ იმ დრომდე ხელმძღვანელობდა, ვიდრე „მოქკავშირის“ სიით დეპუტატი არ გახდა. 1997 წელს ასოციაციის პარტნიორი ევრაზიის ფონდი ხდება და, მისი მხარდაჭერით (მხარდაჭერაში, ალბათ, გრანტი იგულისხმება), მიწის მესაკუთრეებისთვის მიწის კანონმდებლობის ცნობარს ბეჭდავს. 1999 წელს კი, როცა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის რეფორმა — 2.5 მილიონი ჰა მიწის ნაკვეთის კერძო საკუთრებაში გადაცემა იწყება, მერაბიშვილის ასოციაცია ამ პროცესს მონიტორინგს უწევს, ესე იგი, თვალს ადევნებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტში მერაბიშვილი მუშაობას, პრინციპში, მიწის კუთხით აგრძელებს — ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტს ხელმძღვანელობს.

ამასობაში, სააკაშვილი ვარდების რევოლუციას აწყობს, პრეზიდენტი ხდება და მეგობარ ტოპოგრაფს ჯერ ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწედ და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებლად ნიშნავს, შემდეგ, სახელმწიფო უშიშროების მინისტრად, ბოლოს კი, შს სამინისტროს აბარებს. სწორედ ამ დროიდან, ქვეყანაში, ბიზნესმენ პაატა კაჭარავას ტერმინით რომ ვთქვათ, დიდი კოლექტივიზაცია იწყება.

არაოფიციალური მონაცემებით, 9 წლის განმავლობაში, საქართველოში არ დარჩენილა წვრილი, საშუალო თუ მსხვილი ბიზნესმენი, ვისაც „ნაციონალური კოლექტივიზაცია“ რაღაც ფორმით არ შეეხო: ზოგს, ბიუჯეტის შევსებით საბაბით, სოლიდურ თანხას ართმევდნენ, ზოგს უძრავ თუ მოძრავ ქონებას, ურჩებს კი, ჯერ „ვირის აბანოში“ უშვებდნენ, შემდეგ აკულაკებდნენ.

მას შემდეგ, რაც ნაციონალური ტერორი საკუთარ თავზე გამოსცადა, სს „თბილელექტროაპარატის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, სავაჭრო სახლ „საბას“ მფლობელი პაატა კაჭარავა იმით დაინტერესდა, ვის ხელში გადადიოდა წართმეული ქონება და გაარკვია, რომ იმ კომპანიების უმეტესობა, რომლებიც სხვისი ქონების მფლობელები უკანონოდ გახდნენ, ოფშორულ ზონებშია რეგისტრირებული. ამ მხრივ გამონაკლისი არც შპს „აიელეფ“-ია, რომელსაც სახელმწიფომ კაჭარავასთვის წართმეული 6 ჰა მიწა, ზედ არსებული შენობა-ნაგებობებით, სახელდახელო აუქციონზე მიყიდა.

პაატა კაჭარავა პროფესიით იურისტია. შესაბამისად, შპს „მიწა და უძრავი ქონების“ წარმომავლობა შეისწავლა და საინტერესო დეტალები აღმოაჩინა: ოფშორული კომპანია „კოოპერატივი იმეკ ილირიან მიწის ფონდი“ (რეგისტრირებულია ამსტერდამში) საქართველოში 2007 წლის 27 ივლისს სამ შპს-ს აფუძნებს (რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სამივე შპს ერთსა და იმავე მისამართზეა რეგისტრირებული). ამ სამი შპს-დან ერთ-ერთი, კერძოდ, „მიწა და უძრავი ქონება“, მოგვიანებით, იმ ქონების მფლობელი ხდება, რომელიც ციხეში მყოფმა კაჭარავამ სახელმწიფოს თითქოს ნებაყოფლობით აჩუქა.

2006 წლის მაისის მიწურულსა და ივნისის დასაწყისში (ეს ის პერიოდია, როცა ფინანსური პოლიცია ბიზნესმენ პაატა კაჭარავას გამადიდებელი შუშით სწავლობს), საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის მცხეთის ტერიტორიული ორგანო, ერთმანეთის მიყოლებით, 11 ფიზიკურ პირზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, 11 ოქმს გასცემს, რომლის თანახმადაც, სოფელ ლისში მცხოვრები 11 ფიზიკური პირი, ლისის ტბის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთებს (საერთო ჯამში, 42 ჰა-მდე) ყიდულობენ. ხაზგასასმელია, რომ სპეციალურ აუქციონში გამარჯვებულ 11 ფიზიკურ პირს კვადრატული მეტრი, საშუალოდ, 1,4 თეთრი დაუჯდა (ჯამში, 6 ათასი ლარი)?!

ასევე, ხაზგასასმელია, რომ ამ დროს საქართველოს ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე იყო.

ამ ამბებიდან გადის ზუსტად ორი წელი და 2008 წლის მაის-ივნისში ზემოხსენებული თერთმეტივე ფიზიკური პირი იღებს გადაწყვეტილებას, მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებიც ერთმანეთის მომიჯნავედაა, შპს „აიელეფ“-ს მიყიდოს. აქ გასაოცარი არაფერია — მესაკუთრეს მოუნდა და საკუთარ ქონებას ყიდის, მაგრამ როგორც იტყვიან, ძაღლის თავი სხვაგანაა დამარხული — შპს „აიელეფ“-ი მიწის 11 ნაკვეთში (საერთო ჯამში, 42 ჰა-მდე) 6 მილიონ ევროზე მეტს იხდის.

ბიზნესმენი პაატა კაჭარავა ეჭვობს, რომ ამ ყიდვა-გაყიდვით ვიღაცებმა, მინიმუმ, ფული „გაათეთრეს“ ან „გააცოცხლეს“.

კაჭარავას ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ შპს „აიელეფ“-ი იმ სამი შპს-დან ერთ-ერთია, რომელიც 2007 წლის ზაფხულში ოფშორში რეგისტრირებულმა კომპანიამ ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე მისამართზე დაარეგისტრირა.

„საბას“ მეპატრონე პაატა კაჭარავას თანამესაკუთრე ირინა ვაჭარაძე არ გამორიცხავს, რომ შპს „მიწა და უძრავი ქონების“ ისევე, როგორც შპს „აიელეფ“-ის უკან, უგულავა-ბოკერია-მერაბიშვილის კლანი იდგა. ამ ეჭვს პაატა კაჭარავაც იზიარებს და ხაზს იმ დეტალსაც უსვამს, რომ შპს „აიელეფ“-ის ყოფილი დირექტორი სულხანიშვილი ჯერ თბილისის მერიაში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, ახლა კი, ლუდსახარშ „ზედაზენის“ ხელმძღვანელია. ამბობენ იმასაც, რომ ეს პიროვნება უგულავა-მერაბიშვილის ახლობელია.

**„ახალ ხელისუფლებას თუ სამართლიანობის აღდგენა მართლა სურს, მარტო მართლმსაჯულების დამდგენი კომისია კი არ უნდა შექმნას, არამედ, სპეციალური კანონიც უნდა მიიღოს, რომლითაც შესაძლებელი გახდება იმის გარკვევა, თუ ვინ დგას ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიების უკან. სხვა შემთხვევაში, გამოძიებას აზრი არ აქვს, რადგან წართმეული ქონების უმეტესობა ზუსტად ოფშორში არსებული ან მათ მიერ დაფუძნებული შპს-ების საკუთრებაშია“,** — ამბობს ბიზნესმენი პაატა კაჭარავა, რომელმაც წართმეული ქონების საქმეზე, გამოძიების დაწყების მოთხოვნით, მთავარ პროკურატურას 2012 წლის აპრილში მიმართა, მაგრამ გამოძიება ჯერაც არ დაწყებულა.

# მთავარი პროკურორი ადასტურებს, რომ გერმანელ სამართალდამცველებთან პრობლემა ჰქონდა



წინასაახალწლოდ პოლიტიკურმა ტემპერატურამ დუღილის ფაზას მიაღწია. ნაციონალებმა, ყოფილი თუ მოქმედი თანაგუნდელი მაღალჩინოსნების პროკურატურაში დაბარება-ბრალის წაყენების კასკადის შემდეგ, კომპრომატების ომი დაიწყეს — მერყოფილმა გიგი უგულავამ მთავარი პროკურორი ამხილა. მისი თქმით, ოთარ ფარცხალაძე გერმანიაში, ყაჩაღობისთვისაა გასამართლებული.

ყაჩაღობის ფაქტს უარყოფს მთავარი პროკურორი, თუმცა ადასტურებს, რომ თავის დროზე, გერმანიაში, სამართალდამცავებთან პრობლემები მართლაც ჰქონდა: „ბოლო დროს ჩემ მიმართ გააქტიურებულმა ბინძურმა პოლიტიკურმა კამპანიამ პიკს მიაღწია. საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ რეზონანსულ საქმეებზე გააქტიურებულმა გამოძიებამ, ჩანს, ჩვენი ოპონენტები „გაანაწყენა“. ისინი შეუდგნენ ბინძური ხრიკებით უწყებისა და, პირადად, ჩემ კომპრომეტირებას. პასუხის გაცემა არ მიმაჩნია მიზანშეწონილად, რადგან მათი მოტივი და ინტერესი ნათელია. თავს ვალდებულად ვთვლი, აღნიშნულ საკითხზე განცხადება მხოლოდ იმიტომ გავაკეთო, დავაკმაყოფილო შეცდომაში შეყვანილი საზოგადოების ინტერესი.

2000 წელს ნამდვილად ვიმყოფებოდი გერმანიაში, სადაც ინციდენტი შემემთხვა გერმანიის პოლიციასთან. სამართალდამცველს, რომელსაც, მოგვიანებით დადგინდა, რომ ინფორმაცია ჰქონდა სხვა პირის მიმართ ჩადენილ დანაშაულზე, მოუვიდა შეცდომა, მომაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მოხდა კონფლიქტი. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებთან საუბრის შემდეგ, ინციდენტის ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, სასამართლომ დამიდგინა პოლიციელთან შელაპარაკების ბრალეულობა.

ამ ინციდენტს ჩემი ქვეყნიდან დეპორტი და სხვა იძულებითი ღონისძიებები არ მოჰყოლია, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ჩემ უდანაშაულობას. მას შემდეგ საქმიანი და პირადი ვიზიტით არაერთხელ ვიმყოფებოდი გერმანიაში და, ქვეყანაში შესვლისა და მისი დატოვების დროს, არანაირი სახის პრობლემა არ შემქმნია“.

ფარცხალაძემ დიპლომის ასლიც გაასაჯაროვა და განმარტება განათლებასთან დაკავშირებითაც გააკეთა: „მინდა, დავასრულო ერთხელ და სამუდამოდ ამაზე საუბარი. ვთხოვ თანამოქალაქეებს, ნუ აჰყვებიან პროკურატურის წინააღმდეგ წარმოებულ ბინძურ კამპანიას. თავი ვალდებულად ჩავთვალე, საქართველოს მოქალაქეებისთვის ამეხსნა საქმის ვითარება. ეს განმარტება ეკუთვნის საზოგადოებას და არა იმ პირებს, რომლებიც მხოლოდ საკუთარი დანაშაულის დაფარვის მიზნით ცდილობენ ჩემი და მთავარი პროკურატურის დისკრედიტაციას“.

მთავარი პროკურორის ოფიციალური განცხადება ნაციონალებისთვის დამაჯერებელი არ აღმოჩნდა. ისინი მაინც დაჟინებით ითხოვენ, იუსტიციის მინისტრმა გერმანიიდან ინფორმაცია გამოითხოვოს, გადაამოწმოს და მთავარი პროკურორი თანამდებობიდან გადააყენოს. მით უმეტეს, რამდენიმე ადამიანი აცხადებს, ვიცოდით, ფარცხალაძე ნასამართლევი რომ იყოო. ეს ინფორმაცია, ჰქონია ექსპერტს სოსო ცისკარიშვილსაც და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოჟორიძესაც. მისი განმარტებით, საია აღნიშნულ ინფორმაციას ორი კვირაა ფლობს, თუმცა გადამოწმების გარეშე, ამაზე საუბარი არ სურდათ. „ახალგაზრდა იურისტებს“ გერმანიაში ინფორმაციის გადამოწმება არ უცდიათ. სამაგიეროდ, გერმანულ მხარესთან მიწერ-მოწერა აქვს სტუდია „მონიტორის“ ხელმძღვანელს, ნინო ზურიაშვილს, რომელმაც აუგსბურგის სასამართლოდან საინტერესო ინფორმაციაც მიიღო. როგორც ირკვევა, ზურიაშვილს ფარცხალაძის ნასამართლეობის შესახებ ინფორმაცია დიდი ხანია აქვს და მის გადამოწმებას ჯერ კიდევ 2013 წლის ოქტომბრიდან ცდილობს. ზურიაშვილი აღნიშნავს, რომ მათთვის ცნობილი იყო ფარცხალაძის საქმის ნომერი, ქალაქის სახელწოდება და მხოლოდ ამ ნომრის მიხედვით მოითხოვეს აუგსბურგიდან ინფორმაცია. 15 ნოემბერს აუგსბურგის სასამართლოდან მიიღეს წერილი, რომლის InterPressNews.Gesubject-ის ნაწილში წერია: „ოთარ ფარცხალაძე — ძარცვა ძალადობის გამოყენებით“. თუმცა დეტალები დასაზუსტებელია. „ჩვენი მეორე წერილის შემდეგ (სადაც დასაბუთება ვცადეთ) პროკურატურის პრესსპიკერმა მოგვწერა, რომ პირადი ინფორმაციის შემცველ ცნობებს არ გასცემდნენ“, — აცხადებს ნინო ზურიაშვილი.

სამაგიეროდ, ინფორმაცია უგულავას მიაწოდეს. მისი მტკიცებით: „ოთარ ფარცხალაძე აუგსბურგის რაიონული სასამართლოს მიერ ყაჩაღობის ბრალდებით, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 249-ე და 252-ე მუხლებით 2001 წლის 16 იანვარსაა გასამართლებული და მას ძირითადი სასჯელი — პატიმრობა, 1 წლითა და 3 თვის ვადით მიესაჯა. დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა პასიური საარჩევნო უფლებისა და გარკვეული თანამდებობის უფლების ჩამორთმევა. დამატებითი სასჯელი ძალაშია 2016 წლის 22 აგვისტომდე. განაჩენი კანონიერ ძალაში 2001 წლის 14 მარტს შევიდა. მოვითხოვ საქართველოს მთავრობისგან დაუყოვნებლივ რეაგირებას, მოხდეს ფარცხალაძის თანამდებობიდან ჩამოშორება, ვიდრე საზოგადოება სრულად მიიღებს პასუხს ამ დანაშაულთან დაკავშირებით. იმედია, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ამ საქმეს გერმანიიდან გამოითხოვს“.

უგულავას ბრალდებაზე, მთავარი პროკურატურის ერთ-ერთი პირველი რეაქცია, უწყების ოფიციალურ ვებგვერდზე მთავარი პროკურორის პირადი მონაცემების შეცვლა იყო — შეიცვალა ოთარ ფარცხალაძის დაბადების წელი. CV-ს თავდაპირველ ვარიანტში მთავარი პროკურორის დაბადების თარიღად 1976 წელი იყო მითითებული, მეორე CV-ში კი — 1971 წელი. პროკურატურამ ეს ფაქტი, „ტექნიკურ ხარვეზად“ მონათლა, ოპოზიციის წარმომადგენლებს კი ეჭვი გაუჩნდათ, რომ ხელისუფლება ამგვარად ცდილობს, „დაამტკიცოს“, თითქოს გერმანიაში სხვა ოთარ ფარცხალაძეა ნასამართლევი. ნაციონალებს კიდევ ერთი ეჭვი უღრღნის გულს — მათი მტკიცებით, შსს-მ უკვე კარგა ხანია ფარცხალაძის ნასამართლეობის შესახებ ცნობები გაანადგურა. იურისტების თქმით კი, იურიდიულად, დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, ფარცხალაძე ნასამართლევია თუ არა — თუ ასეთი ფაქტი მართლაც მოხდა, 2001 წლის შემდეგ, დიდი დროა გასული, მოქმედებს დანაშაულის ხანდაზმულობის პრინციპი და არსებობის შემთხვევაში, ნასამართლეობა ფარცხალაძეს თანამდებობაზე დარჩენაში ხელს ვერ შეუშლის. „საქართველოს კანონმდებლობით, ნასამართლეობა გაქარწყლებულად ჩაითვლება და თანამდებობის დაკავების დაბრკოლება აღარ იქნება. ანუ, სამართლებრივად, მას ამ თანამდებობის დაკავების უფლება აქვს“, — აცხადებენ იურისტები, თუმცა ამ შემთხვევაში, ალბათ, საქმის მორალური მხარეა მთავარი და ის, გაითვალისწინებს თუ არა ამ მხარეს ხელისუფლება.

უგულავა ტყუის თუ ფარცხალაძე, მომავალი გვიჩვენებს. ალბათ ისიც გაირკვევა, არსებობის შემთხვევაში, არის თუ არა გაქარწყლებული ფარცხალაძის ნასამართლეობა. „მთავარი პროკურორისთვის გაქარწყლებული და გაუქარწყლებელი ყაჩაღობა არ არსებობს“, — აცხადებენ ნაციონალები. ამაში კი, მათ, პრინციპში ეთანხმება, უმრავლესობის ზოგი წევრი. მაგალითად, რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილი, რომელმაც Facebook-ზე გამოქვეყნებული სტატუსით, შეიძლება ითქვას, საზოგადოების უმრავლესობის განწყობა გამოხატა: „თუ ბატონ ფარცხალაძეს ტყუილუბრალოდ აბრალებენ გერმანიაში ყაჩაღობისთვის ნასამართლეობას, მაშინ ამის შესახებ დაუყონებლივ უნდა გაცხადდეს სათანადო მტკიცებულებებით და ბატონ უგულავასაც მოეკითხოს პასუხი ცილისწამებისთვის. და თუ ეს სიმართლეა, მაშინ ბატონმა პროკურორმა უნდა დატოვოს თანამდებობა. არანაირი სხვა პასუხი ამ შემთხვევაში არ მიიღება. ასეა ეს და არ უნდა ამას ბევრი ლაი-ლაი“.

*„ვერსიანიუსი“*

# ექსკლუზიური ინტერვიუ თემურ ჭკუასელთან

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

**არის თუ არა ნაციონალების პროკურატურაში დაბარება-დაკითხვის ფაქტები შურისძიება, დეპუტატების ბილწსიტყვაობა კი „ბუნებრივი რეაქცია“? ხედავს თუ არა უივანიშვილოდ დარჩენილი კოალიციის დაშლის ნიშნებს და რატომ ეთანხმება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას? რატომ არ მოაწერა ხელი უკრაინელების სოლიდარობის რეზოლუციის პირველ ვარიანტს და როგორ მოხვდა „ოცნების“ პარტიის პოლიტსაბჭოს 12-კაციან სიაში? — პარლამენტის წევრი თემურ ჭკუასელი „ვერსიის“ ყველა კითხვას უპასუხებს.**

## — არის თუ გიგი უგულავას გადაყენება ივანიშვილის შურისძიება, როგორ აღმოჩნდა „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოში და რატომ დააკარგვინა პოლიტიკამ მეგობარი — ბიძინა ივანიშვილი ჩოხატაურის მაჟორიტარ დეპუტატს



**— ახალმა ხელისუფლებამ, თქვენს მიერ „უჯიშო ვარდად“ მონათლული ნაციონალების „ამოძირკვის“ უცნაურ მეთოდს მიმართა — ნაციონალები ზეწოლაზე საუბრობენ. შურისძიების დრო დადგა, ბატონო თემურ?**

— ხელისუფლებაში ნაციონალები რომ მოვიდნენ, დიდი აჟიოტაჟი იყო. მე სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, მაგრამ იმას, რაც ამათ წლების განმავლობაში აკეთეს, მაშინ ვერც წარმოვიდგენდი. პირველად სააკაშვილის საქციელმა მაშინ გამაოცა, როცა ჟურნალისტ დათო ბოლქვაძის მკვლელი გამოუშვა ციხიდან. მას შემდეგ სააკაშვილითა და ნაციონალებით უკმაყოფილო ადამიანების რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა და, საბოლოოდ, მოსახლეობის 70-80% შურისძიების გრძნობითაა განმსჭვალული. ჩვენ სამხრეთელობასა და იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ბევრ კუთხეში ერთადერთი სასამართლო იყო „სისხლი სისხლის წილ“, მოულოდნელი აღარ იქნება, ხალხს შურისძიება რომ სწყურია, ხელისუფლება კი შურისძიების გრძნობით არ მოქმედებს, არ შეიძლება! ყველაფერი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ხალხმაც ასე უნდა ვიფიქროთ... მესამე პირში ლაპარაკი არ მიყვარს, თუ გინდა, დაგიჯერონ, მოსამართლის სკამიდან კი არა, ბრალდებულის ძელსკამიდან უნდა ელაპარაკო საზოგადოებას. ჩვენი სიძლიერე ის იქნება, შურისძიებისგან თავი შევიკავოთ და დაველოდოთ, როდის აღსრულდება სამართალი — ესაა მთავარი. ჯერ კიდევ როდის თქვეს რომაელებმა, დაინგრეს თუნდაც მთელი მსოფლიო, ოღონდ აღსრულდეს სამართალი.

**— ექსპრემიერისთვის თავზე ზეწრის გადაფარება და შანტაჟი, სამართლიანობის აღდგენის ფარგლებში ჯდება?**

— ეს უკვე დადგენილი ფაქტია? ეს მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ ჩავთვლით, რომ ჩვენი სამართალდამცავები უჭკუოები არიან. იმას, რასაც მერაბიშვილი ამბობს, მითხრესო, იმ ოთახშიც ეტყოდნენ, სადაც იმყოფება; თან, არც ის იყო სავალდებულო, მაინცდამაინც, მთავარ პროკურორს ეთქვა. ისიც საინტერესოა, რატომ არ ჰქონდა მცდელობა, განცხადება მაშინვე გაეკეთებინა, პროცესს დაელოდა? არ მჯერა. საეჭვოდ ემთხვევა მისი ეს განცხადება, წინა დღეს ჟვანიას დაცვის წევრის დაკავების ფაქტს. აბსოლუტურად ვეთანხმები პრემიერს, რომ მერაბიშვილის ამ განცხადების მიზანი იყო, სხვაგან გაეგზავნა მესიჯი — მე აქ, ციხეში ვზივარ, თქვენ ამერიკაში ხართ, უნდა მომხედოთ, ძმაო. ისე, ნაციონალები ამ მეთოდებით მოქმედებდნენ, ამას აკეთებდნენ დღეში 7-8-ჯერ. რომ ამბობენ, ბიუჯეტს ვასრულებდითო, როგორ ასრულებდნენ, ეგაა საქმე. 60 ადამიანი ერთდროულად დაიჭირეს იმიტომ, რომ თანამშრომლობდნენ უცხოურ ორგანიზაციასთან, რომელსაც რაღაც დარღვევა აღმოუჩინეს. ეს ხალხი არაფერ შუაში იყო, მაგრამ მაინც დაიჭირეს, გააყიდვინეს ყველაფერი, რაც ებადათ, მიატანინეს მილიონები... ასე ასრულებდნენ ბიუჯეტს. ასე მეც შევასრულებ, არანაირი ეკონომიური განათლება არ მაქვს, მაგრამ დამნიშნონ ნოდარ ხადურის ადგილას და თუ მექნება მსგავსი რაღაცების კეთების სურვილი და უფლება, შევასრულებ ბიუჯეტს. შურისძიებაზე მეკითხებოდით და, ამ ფონზე, რიგითი ადამიანების მხრიდან ამგვარი რეაქცია ბუნებრივიცაა.

**— ამ ლოგიკით, პარლამენტში ერთმანეთის გინება და შეურაცხყოფაც ბუნებრივი რეაქციაა?**

— სხვათა შორის, ძალიან ძნელია ადამიანებისგან, რომელთა ხელისუფლებაში ყოფნის დროს ამდენი უსამართლობა ხდებოდა, მითითებებისა და შენიშვნების მოსმენა. ორი ძალიან კარგი ანდაზა მახსენდება: „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველებოდეს“ და „უნამუსოს პირში აფურთხებდნენ, რა კარგი წვიმა მოდისო“... გურული კი ვარ, მაგრამ გაწონასწორებული, ყველა ერთნაირი ხომ ვერ იქნება პარლამენტში.

**— ანუ არ ეთანხმებით უსუფაშვილს, რომელიც გინებისთვის პარლამენტიდან დეპუტატის გარიცხვასაც კი მიესალმება?**

— ეს არ მითქვამს... რა თქმა უნდა, დეპუტატი არ უნდა იგინებოდეს, მაგრამ არც თითით უნდა განიშნებდეს, გიჟი ხარო, ამიტომ იხუმრა უსუფაშვილმა, თუ ასეთი საქციელისთვის დეპუტატებს გავრიცხავთ, არ ვიცი, პარლამენტში ვინ დარჩებაო. სხვათა შორის, გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ ეს ამბავი ნაციონალებსაც არ გაკვირვებიათ. ბევრმა გვითხრა, ამისთანები მომხდარა, კაცო, ჩვენს პარლამენტშიო? დეპუტატს თმენის ვალდებულება აქვს, უსუფაშვილმაც ამიტომ თქვა, მასწავლებელი არ ვარ, ვინმე კუთხეში დავაყენოო და მესმის მისი. ასეთი თავმჯდომარე პარლამენტს, მგონი, არ ჰყოლია. დადებითი პიროვნებაა, კარგი პოლიტიკოსი, დემოკრატი...

**— და რესპუბლიკელი — პოლიტიკოსების ნაწილი კი, მისი და ალასანიას პარტიების წევრებს დღემდე მოიაზრებენ კოალიციის „შავ კატებად“. ამბობენ, სწორედ ისინი დაშლიან გაერთიანებასო. უივანიშვილოდ სტაბილურ ურთიერთობებს ინარჩუნებთ?**

— რა თქმა უნდა, საერთოდ, არ ვფიქრობთ, ვინ რომელი პარტიიდანაა, ურთიერთობაში პრობლემა არ გვაქვს, თითოეულ რესპუბლიკელს გულში რა უდევს, ჩემთვის ძნელი გასაგებია, მაგრამ ურთიერთობაში ყველა შესანიშნავი ადამიანია. კოალიციის დაშლაზე ბევრს ლაპარაკობენ, ნიშნებს კი ვერ ვხედავ და თუ დავინახავ, გპირდებით, პირველად თქვენ გაზეთს ვეტყვი. უბრალოდ, რთულ პირობებში გვიწევს მუშაობა, ძნელია ამდენი უსამართლობის ატანა.

**— თუ ასე რთულია ნაციონალებთან ურთიერთობა, იქნებ უკეთესიც იყოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც არასაპარლამენტო ოპოზიცია ითხოვს?**

— საკითხავია, ქვეყანას სჭირდება თუ არა ეს არჩევნები და აქვს თუ არა იმის ფუფუნება, ფინანსურად, არჩევნები ჩატარდეს, თორემ, პირადად მე, თანახმა ვარ. პრობლემა არაა, ვიქნები თუ არა პარლამენტში. რომ ვარ, ესაა პრობლემა.

**— ისეთი ტონი გაქვთ, თითქოს, საუკეთესო მეგობარ, ბიძინა ივანიშვილთან ერთად, სამოქალაქო სექტორში თავს უკეთ იგრძნობდით.**

— ამაზე არ მიფიქრია, უბრალოდ, ვერც წერისთვის ვიცლი და ვერც სიმღერისთვის, არადა, უამრავი იდეა მაქვს. ეს ჩემი ცხოვრების იმდენად ლამაზი ნაწილია, ასე, ხელაღებით თავისდანებება, წარმოუდგენელია. ისე, ვადამდელი არჩევნების ჩატარებაზე იმიტომაც დავთანხმდებოდი, ნაციონალებს ენახათ, რა რეიტინგი აქვთ დღეს.

**— სჯობს, „ქართული ოცნების“ რეიტინგზე ვისაუბროთ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მმართველი ძალის რეიტინგი ხშირად ეცემა ხოლმე.**

— რეიტინგი არ ვიცი, უკმაყოფილო ადამიანები კი, ალბათ, არიან. საზოგადოება ხომ ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: ადამიანები, რომლებიც გაუაზრებლად ამბობენ რაღაცას და ოჯახში თუ მეწველი ძროხა არ შეუვიდათ, არაფერი მოსწონთ და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები. ვფიქრობ, საზოგადოების დიდი ნაწილი, მეორე კატეგორიაშია და ხვდება, რომ მაქსიმუმს ვცდილობთ. ურყევია ჩვენი პრინციპებიც: უპირველეს ყოვლისა, დემოკრატია და ეკონომიკური აღმავლობისკენ სწრაფვა. პირიქით, ზედმეტ დემოკრატიას გვითვლიან ხოლმე ნაკლად... ამწუთას, თვალწინ დამიდგა კადრები, როგორ უნგრევდნენ ქალბატონს აშენებულ სახლს თვალწინ, უყრიდნენ ავეჯს ფანჯრებიდან... რა თქმა უნდა, იმ ადამიანებთან ურთიერთობა, ვინც ეს გააკეთა, ძალიან რთულია. ყველა საკითხზე შეიძლება კამათი, მაგრამ ისინი საუბარს აუცილებლად ვიღაცის ლანძღვით იწყებენ. თვითმმართველობის კანონზეც ასე მოხდა — ატეხეს აჟიოტაჟი და გვლანძღეს, არადა, კოალიციის წევრებს გვქონდა მარტო 76 შენიშვნა ამ კანონპროექტზე. ამ დოკუმენტის განხილვა შორს წაგვიყვანს, მაგრამ აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ ეს ისტორიული მნიშვნელობის კანონია. 120 წლის წინ, პარლამენტში, ილია ჭავჭავაძე გამოვიდა სიტყვით და რაც მას უნდოდა გაეკეთებინა, ის კანონი მივიღეთ. ცუდია, რომ ადამიანები ასეთი აჟიოტაჟის ატეხვით იკეთებენ რეკლამას, სინამდვილეში კი, გადაუმოწმებელ, დაუსაბუთებელ ბრალდებებს გიყენებენ.

**— სალომე ზურაბიშვილის „ბრალდებაც“ დაუსაბუთებელი იყო, უკრაინელების სოლიდარობის რეზოლუციას ხელი რატომ არ მოაწერეთ?**

— დიახ, ზურაბიშვილმა არასწორი ინფორმაცია გაავრცელა და მერე ბოდიშიც მოიხადა. დაწერე რა, რაც არის, რომ ჩვენ მხარი არ დავუჭირეთ პირვანდელ დოკუმენტს, შესწორებები შევიტანეთ და შემდეგ მივიღეთ ეს რეზოლუცია. ცხადია, უკრაინელ ხალხს სოლიდარობას ვუცხადებთ.

**— პირვანდელ რეზოლუციაში რა იყო მიუღებელი?**

— გვმართებდა იგივე შინაარსის, მაგრამ პოლიტიკურად უფრო გაწონასწორებული განცხადების გაკეთება, რომელიც გავაკეთეთ კიდეც. პირვანდელ დოკუმენტში იყო საუბარი მხოლოდ რუსეთის ზეწოლაზე, შანტაჟზე. ჩვენ კი გვსურდა, ჩაწერილიყო, რომ ამის უფლება არც რუსეთს აქვს და არც ნებისმიერ სხვა ქვეყანას. პირვანდელი დოკუმენტი რომ მიგვეღო, რუსეთის მხრიდან აუცილებლად იქნებოდა საპასუხო რეაქცია და ცოტათი დამთბარი ურთიერთობები, კვლავ უარესობისკენ შეიცვლებოდა. რამდენიც უნდა იძახონ ნაციონალებმა, პიროვნებების მიერ წარმოთქმული ეპითეტები არ წყვეტენო ქვეყნების ურთიერთობას, არ დავიჯერებ. ქვეყნის მმართველი რომ ვიყო და მეზობელი ქვეყნის მმართველმა, ჭკუასელის ნაცვლად, ჭკუათხელი მიწოდოს, ცხადია, არ მესიამოვნება და მისი ქვეყნის მიმართაც უარყოფითი დამოკიდებულება შემექმნება.

**— „მავთულხლართების ომი“ გრძელდება, ლავროვი აცხადებს, რომ სავიზო რეჟიმის გაუქმებისთვის რუსეთი მზად არაა. რუსეთთან „დამთბარი ურთიერთობა“ მხოლოდ მის ბაზარზე ქართული ღვინისა და მანდარინის შეტანაში გამოიხატება?**

— არა მხოლოდ... კულისებსმიღმა მიდის საინტერესო პროცესი, რაზეც ახლა ვერ ვისაუბრებ. ბევრ აფხაზს ვიცნობ, მამა სოხუმში ცხოვრობდა და იქ ხშირად ჩავდიოდი. აფხაზები უკვე ხვდებიან, რომ მათი მომავალი მთლიანად გარუსებაა. ადრეც იყო პერიოდი, როცა აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა დათბა, დელეგაციაც ჩამოვიდა თბილისში, მაგრამ სააკაშვილი არ შეხვდა, ზუსტად იმ დროს, სენაკის სამხედრო ბაზა გახსნა. ეს დიპლომატიურ ენაზე იმის თქმას ნიშნავს, მაინც დედას გიტირებთო. გაბრუნდა უკან დელეგაცია... ასეთი კიდევ არაერთი საქციელი ჩაიდინა, სადაც პირდაპირ იკვეთება ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაულის კვალი. ასე რომ, თუ არ გასამართლდება, ექსპრეზიდენტს ბევრ კითხვაზე მაინც მოუწევს პასუხის გაცემა. სხვა თუ არაფერი, ყველამ იცის, რომ უზარმაზარი ფული წაიღო. მახსოვს, ერთხელ ჰკითხეს, რამდენი გაქვთ ხელფასიო, არ ვიციო, თქვა. 4500 ლარი ჰქონდა, მაგრამ რაში აინტერესებდა, სხვა არხებიდან აკეთებდა ფულს.

**— სამაგიეროდ, ახალმა პრეზიდენტმა იცის, რომ სააკაშვილზე ორჯერ მეტი ხელფასი აქვს.**

— მერე რა, როგორ შეიძლება, ქვეყნის პრეზიდენტს მინისტრზე ნაკლები ხელფასი ჰქონდეს? პარლამენტარების ხელფასის 10%-ით გაზრდაზეც იყო ლაპარაკი, მაგრამ წინააღმდეგი ვარ — არაფერს გვმატებს ეს 10% და სალაპარაკო გახდება. არ შეიძლება, იყო ბედნიერი, როცა ქვეყანაში მშიერი ადამიანები არიან. ბათუმში ვიღაცამ 83-ათასიანი მანქანის ყიდვა თუ გადაწყვიტა, ნუ იფიქრებთ, რომ ეს ჩვენში ტენდენციაა. აგერ, მე, სულ არ მყავს სახელმწიფო მანქანა, ჩემი მანქანით დავდივარ და თავს კარგად ვგრძნობ. არც დეპუტატების ხელფასის გაზრდას ვემხრობი. აი, პრეზიდენტს კი, 4000 ლარი ნამდვილად არ უნდა ჰქონოდა ჯამაგირი.

*დასასრული მე-6 გვერდზე*

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

# „მარნეულის მურაბის დღე“, საახალწლო ფესტივალი და ნაძვისხეების გამოფენა ბამბის რიგში

**კვირას, 22 დეკემბერს, ძველი თბილისის კოლორიტულ უბანში — ბამბის რიგის მიმდებარე ტერიტორიაზე, საახალწლო ფესტივალი გაიმართა, რომლის ძირითადი ღონისძიება „მარნეულის მურაბის დღე“ და „ნაძვისხეების გამოფენა“ იყო. ფესტივალის ორგანიზატორები და მასპინძლები იყვნენ „მარნეულის სასურსათო ქარხანა“, თბილისის მერია და „მეიდან ჯგუფი“. „მურაბის დღეს“, ფესტივალის ფარგლებში, 12:00-დან 20:00 საათამდე, „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ პროდუქცია სპეციალურ ფასად გაიყიდა. „მურაბის დღეზე“, მედიაკონკურსის, „თანამედროვე სოფლის მეურნეობა და აგროინდუსტრია საქართველოში“, გამარჯვებულები გამოვლინდნენ. კომპეტენტურმა ჟიურიმ მთავარ თემაზე მომზადებული საუკეთესო მედიაპროდუქცია, მათ შორის, საგაზეთო სტატია, ინტერნეტპუბლიკაცია, ბლოგი, ტელე და რადიოსიუჟეტი დაასახელა.**



„მურაბის დღეზე“ მედიაკონკურსის გამარჯვებულები გამოვლინდნენ

22 დეკემბერს, „მურაბის დღეზე“ გამართულ დეგუსტაციასა და საახალწლო ბაზრობაში, „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ გარდა, მონაწილეობდნენ სუპერმარკეტების ქსელი „სმარტი“ და ამერიკული რესტორანი „ვენდისი“, ნამცხვრის სახლი „აზატო“, იტალიური ყავის ბრენდი „ლავაცა“; სხვადასხვა რეგიონების წარმომადგენლები სტუმრებს თაფლით, ჩირით, ტყლაპით, გოზინაყით, კანფეტებით, ჩაითა და გლინტვეინით უმასპინძლდებოდნენ, ფესტივალის სტუმრებს ხელნაკეთი ნივთების შეძენაც შეეძლოთ.

„მურაბის დღეზე“, სიონის სკვერში მისულმა სტუმრებმა ტკბილ და, ამავდროულად, ზღაპრულ სამყაროში გადაინაცვლეს, სადაც მათ სხვადასხვა სახის ნუგბარი და გასართობი პროგრამა ელოდათ. ფესტივალის სტუმრები ზღაპრების საყვარელ გმირებსა და „მულტი-პულტის“ სამყაროს პერსონაჟებს შეხვდნენ — კარლსონს, მიკი და მინი მაუსებს, ვინი პუჰს, შრეკსა და ფიონას, პლუტოს, ფიფქიას, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში მოძრაობდნენ ქუჩაში და არა მარტო პატარებს, უფროსებსაც ახალისებდნენ. ღონისძიების ფარგლებში, ანა ჩანგიანის ხელოვნების სახლის ბავშვთა მიერ, თექისგან დამზადებული ზამთრის კოლექციის ჩვენება გაიმართა, მუსიკალურ ნომრებს კი ნიჭიერი ზურა ბალანჩივაძე და ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი №1“-ის აღსაზრდელები ასრულებდნენ.

„მურაბის დღე“ 25 დეკემბერსაც გაიმართება, 22-დან 25 დეკემბრის ჩათვლით კი ბამბის რიგის ტერიტორიაზე, ნაძვისხეების გამოფენა მოეწყობა. გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ ორგანიზაციები, რომლებიც ბრენდირებულ ნაძვისხეებს წარმოადგენენ. გამოფენის სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, საუკეთესო მასპინძელი კომპანია გამოავლინონ და მათთვის ყველაზე მეტად მოსაწონ ნაძვისხეს ხმა მისცენ. გამოფენის გამარჯვებულები 25 დეკემბერს გამოვლინდებიან და სპეციალური ღონისძიების ფარგლებში დაჯილდოვდებიან.

„მარნეულის მურაბის დღის“ ფესტივალის ფარგლებში, მედიაკონკურსის — „თანამედროვე სოფლის მეურნეობა და აგროინდუსტრია საქართველოში“ — გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ. ადგილები ასე გადანაწილდა: პირველი ადგილი — ირაკლი ჭანტურია, სტუდია „კრეატივი; მეორე ადგილი — თამარ ლეფსვერიძე, „გურიანიუსი“; ნინო ნატროშვილი, „ნეტგაზეთი“; ნონა სამხარაძე, „მარნეული TV“; მესამე ადგილი — ეკა ჯიმშელაძე, „ბიზნესი და კანონმდებლობა“; ანა ჭანკოტაძე, „ლიბერალი“, ლიკა ჟორჟოლიანი, „ტაიმერი“, ლევან ბეგლარიშვილი, გაზეთი CBW.

2013 წლის გაზაფხულზე, „მარგებელი ჰოლდინგმა“, პიარსააგენტო „ჯეპრასთან“ ერთად, მედიაკონკურსი გამოაცხადა. კონკურსის მიზანს მედიის საშუალებით, სოფლის მეურნეობის არსებული მდგომარეობის, მიმდინარე პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ ქართველი მომხმარებლისთვის სასარგებლო და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენდა.

კონკურსში მონაწილეობა შეეძლო საქართველოში მომუშავე ყველა ჟურნალისტს, მის ობიექტურად ჩატარებას კომპეტენტური ჟიური უზრუნველყოფდა. კონკურსის დროს წარმოდგენილი მასალების განხილვისას, ჟიურიმ შემდეგი სახის კრიტერიუმებით იხელმძღვანელა: ჟურნალისტური ოსტატობა (ორიგინალური ტექსტი, კრეატიული გადაწყვეტა, გზავნილების გასაგებად წარმოდგენა) – მაქსიმუმ 10 ქულა; გამოქვეყნების სიხშირე – მაქსიმუმ 5 ქულა; კონკურსის ფარგლებში მომზადებული მედიამასალების რაოდენობა – მაქსიმუმ 5 ქულა; კონკურსის თემასთან შესაბამისობა – მაქსიმუმ 10 ქულა.

*მაია მიშელაძე*

ექსკლუზიური ვერსია

# ექსკლუზიური ინტერვიუ თემურ ჭკუასელთან

*მე-5 გვერდიდან*

**— ისე, მარგველაშვილი იშვიათად ჩანს. ხალხი უკვე ხუმრობს, ამისთვის ავირჩიეთ პრეზიდენტი, თვალსადახელსშუა გამქრალიყოო?**

— ძალიან კარგი, ნელ-ნელა დავემსგავსებით ისეთ ქვეყანას, სადაც არც კი იციან, პრეზიდენტი ვინ არის. მარგველაშვილი თუ ისე არ ჩანს, როგორც სააკაშვილისგან ვიყავით მიჩვეულები, სულ არ მაწუხებს. პირიქით.

**— სამაგიეროდ, ხალხი შეწუხდა მისი გაზრდილი ხელფასით, ჯერ რეფორმები არ გატარებულა, შვება არ გვიგრძნია და პრეზიდენტი უკვე ჯამაგირს იორმაგებსო.**

— რა რეფორმები არ გატარებულა, არ გამაოცოთ. იმდენი რეფორმა გავატარეთ...

**— ისეთ რეფორმებს ვგულისხმობ, მოსახლეობას სოციალურ პრობლემებს რომ გადაუჭრიდა, დაასაქმებდა, სიღარიბის ზღვარსქვემოთ მყოფი ადამიანების რიცხვს შეამცირებდა...**

— ასეთებიც გატარდა. გვსაყვედურობდნენ, „ქართული ოცნება“ გაკეთებული საქმეების რეკლამირებას არ ახდენსო. ეს, თავის დროზე, ბიძინა ივანიშვილის ხასიათიდან გამომდინარეობდა და, ეტყობა, გადაგვედო. ჩემს რაიონში, ჩოხატაურში, ერთდროულად დამთავრდა 4 გზის მშენებლობა, მაგრამ არავინ იცის ამის შესახებ.

**— გზებს ნაციონალებიც აგებდნენ და ხალხს შიოდა. დღესაც შია ხალხს.**

— საქართველოში არც ერთი მოქალაქე აღარ არის დაზღვევის გარეშე, მშობიარობა გახდა უფასო, დეკრეტის სავალდებულო ანაზღაურება 1000 ლარამდე გაიზარდა, დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობა 6 თვემდე... არხოტში გაკეთდება გზა და 35 ოჯახი დაუბრუნდება ხევსურეთს. ეს საოცარი ტენდენციაა. რაჭაშიც უამრავი დაცარიელებული სოფელია, არადა, იქ მოდის უნიკალური ჯიშის ყურძენი — ალექსანდროული, რომლისგანაც მზადდება ცნობილი ხვანჭკარა. იქნებ ისეთი კანონი მივიღოთ, საფრანგეთში რომაა — კომპანიას, რომელსაც ენდომება, ესა თუ ის ღვინო აწარმოოს, იქ უნდა ააშენოს ქარხანა ან მინიქარხანა, სადაც ამ ღვინის მისაღები უნიკალური ჯიშის ვაზი მოდის. წარმოიდგინეთ, ეს რეგიონებს როგორ განავითარებს და რამდენი ადამიანი დაუბრუნდება ფესვებს. იგივე ხდება გურიაში, სადაც ჩხავერის ჯიში მოდის, ლეჩხუმში — უსახელოური. ეს ძალიან კარგი კანონი იქნება. რეგიონული განვითარების სხვა ინიციატივებიც მაქვს და მინდა, ამაზე პარლამენტში ვილაპარაკო.

**— რაზეც უკვე ილაპარაკეთ, ის ინიციატივები განხორციელდა? ჩოხატაურში ხილის გადამამუშავებელი ქარხნები გაიხსნა? და ზოგადად, რა შეიცვალა გურიაში, აღარ ჰგავს ეს კუთხე „წამხდარ ყანას“?**

— ჯერ კიდევ ჰგავს, ბევრი რამაა გასაკეთებელი... ვცდილობ, მაქსიმალური გავაკეთო დარჩენილ 3 წელში და გურულებს თავი კარგად დავამახსოვრო. ჩოხატაურში ხილის გადამამუშავებელი ქარხანა არის, მაგრამ კერძოა და კიდევ ერთხელ შევთავაზებ მის პატრონს, ავაღორძინოთ. მას სხვა ბიზნესებიც აქვს და ამ ქარხანას დიდი ყურადღება არ ექცევა. ასკანაში იწყება ქარხნის მშენებლობა — ზურა ჩხაიძე აშენებს. ოზურგეთის რაიონისაა, მაგრამ ყველაზე ახლოა ჩოხატაურთან, სოფელ ბასილეთთან. არადა, გზა ბასილეთიდან ასკანამდე არაა გაკეთებული, სულ რაღაც 3-კილომეტრზეა საუბარი. დავით ნარმანიას შევხვდი, ავუხსენი, რომ ეს გზა რაიონისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა. რაიონში ჩაის 2 მინიფაბრიკა უკვე მუშაობს. გორაბერეჟოულის ტექნიკუმის აღდგენა გადაწყვეტილია, თანხაცაა გამოყოფილი. მას აქვს, 30 ჰექტარზე მეტი ნაკვეთი, სადაც ახლა ადგილობრივ გლეხებს ყანა აქვთ დათესილი. ველაპარაკე საგურამოში, ბიძინა ივანიშვილის მიერ დაარსებული სანერგე მეურნეობის წარმომადგენელს, მინდა, ნაკვეთის ნაწილზე მაინც, ანალოგიური სანერგე მეურნეობა გავაშენოთ. პარალელურად, გავაკეთოთ ვაზის უნიკალური ჯიშების სანერგე მეურნეობა. ნერგები გლეხებს უფასოდ დაურიგდებათ, ზურა ჩხაიძე მათ 100%-იან გარანტიას აძლევს, რომ თვითონვე შეისყიდის ყურძენს. ასე რომ, ბევრი გეგმა გვაქვს განსახორციელებელი.

**— გეგმების განხორციელებაზე ახლა ორმაგი პასუხისმგებლობა გაქვთ — უკვე „ქართული ოცნების“ პარტიის პოლიტსაბჭოს წევრიც ხართ. რა შეიცვლება პარტიაში სამომავლოდ?**

— პოლიტსაბჭოს წევრობა ჩემთვის მოულოდნელი იყო. არც ვიცი, ეს როგორ მოხდა. როგორც გავიგე, ადამიანებს, ვინც აუცილებლად მოიაზრებოდა საბჭოში, მაგალითად, საგანელიძესა და ვოლსკის, უთხრეს, 12-კაციანი სავარაუდო სია ჩამოწერეთო და მე ორივეში მოვხვდი. ბევრი რამ შეიცვლება, ბევრი გეგმა გვაქვს. პარტიის მშენებლობისთვის დრო არ გვქონდა და ახლა ვაკეთებთ ამას. აქცენტი რეგიონულ სტრუქტურებზე კეთდება, მით უმეტეს, რომ მალე ისევ საარჩევნო რეჟიმში გადავალთ. გამკაცრდა პარტიაში მიღების წესი.

**— გიგი უგულავა ამბობს, პროკურატურაში ჩემი დაბარება და მერის უფლებამოსილების შეჩერება, პირადად ბიძინა ივანიშვილის შურისძიებააო. სად არის ახლა ყოფილი პრემიერი და პოლიტიკურ საკითხებში მართლა ერევა?**

— არა, ასე ამბობენ, რადგან ამ ადამიანს არ იცნობენ. ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება უწესოდ აზროვნებენ, ამას ვერ გაიგებენ. ბევრი იმაშიც ვერ დავარწმუნე, რომ ამ კაცმა ფულიც პატიოსნად იშოვა. არ არის ივანიშვილი ის ადამიანი, ასეთ რაღაცებში ჩაერიოს. ის კი არა, ზედმეტად ენდობა ხოლმე ადამიანებს და მერე ამას ძალიან განიცდის. შეიძლება ღამეც არ ეძინოს, ასეთი პიროვნებაა. ახლა, მგონი, ისვენებს, ემოციურადაც. თქვა, 1-3 თვე უნდა დავისვენოო, რადგან ტანჯვა იყო მისთვის პოლიტიკაში მოსვლა და ის, რაც გააკეთა. დიდი ხანია არ მინახავს. ზუსტად უნდა დავარქვათ ყველაფერს თავის სახელი. ფილიმონ ქორიძე მილანის ოპერაში სოლისტი იყო. გაიგო, რომ ქართული გალობა იყო ნოტებით ჩასაწერი, დაბრუნდა მილანიდან ოზურგეთში, 18 წელიწადი იწერდა ქართულ საგალობლებს და 5 532 საგალობელი დაუტოვა ქვეყანას. ამ გამაოგნებელმა ფაქტმა დამაწერინა ეპიგრაფი, რომელიც ფილმ „გალობის რაინდებს“ წავუმძღვარე — „ცხოვრება არჩევანს ყველას სთავაზობს. გზას ისტორიისკენ ერთეულები ირჩევენ“. ბიძინა ივანიშვილმაც, როცა ცხოვრებამ არჩევანი შესთავაზა, ისტორიისკენ აირჩია გზა. მის ღვაწლს ისტორია შეაფასებს. ქვეყნისთვის საოცრება გააკეთა. მე კი, შეიძლება ვთქვა, რომ მეგობარი დავკარგე, რადგან აღარ მაქვს ისეთი ხშირი ურთიერთობა. მენატრება ძალიან. ძნელია, როცა ისე ხშირად ველარ ხვდები ადამიანს, რომელთან ერთადაც დიდი დრო გაქვს გატარებული. მით უმეტეს, ძალიან საინტერესო პიროვნებაა... ახალი წლის შემდეგ შევხვდებით, ალბათ. თუ თვითონ არა, ჩვენ დავპატიჟებთ...

# მართლმსაჯულების მუზეუმს" ახალი ექსპონატები დაემატა





*უზენაეს სასამართლოში "მართლმსაჯულების მუზეუმში" ახალი ექსპონატების გამოფენა-დათვალიერება გაიმართა.*

მუზეუმს ოთხი ახალი ექსპონატი დაემატა: ილია ჭავჭავაძის მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობის დროს მის მიერ მიღებული და ხელმოწერილი გადაწყვეტილება, ასევე, ამონაწერები ქართული სამართლის რამდენიმე ძეგლიდან, სადაც აღწერილია მეფის კარზე ახალი წლის მილოცვის და მეკვლის ტრადიცია. დოკუმენტური მასალა მომზადებულია გიორგი ბრწყინვალის გარიგება ხელმწიფის კარისა", ვახტანგ ბატონიშვილის ისტორია საქართველოსი", მამია გურიელის ყმა-მამულის შეწირულობის წიგნებიდან.

ღონისძიებას სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელები, მოსამართლეები და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები დაესწრნენ.

მოწვეულ სტუმრებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ მიმართა და მართლმსაჯულების მუზეუმის" მნიშვნელობაზე ისაუბრა. კონსტანტინე კუბლაშვილმა მუზეუმში გამოფენილი ახალი ექსპონატების შესახებ ისაუბრა და ღონისძიების დასასრულს ღვაწლმოსილ მეცნიერებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

მართლმსაჯულების მუზეუმის" მნიშვნელობასა და უზენაეს სასამართლოსთან თანამშრომლობის შესახებ ისაუბრა ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორმა ბუბა კუდავამ.

როგორც ბუბა კუდავამ დამსწრე საზოგადოებას განუცხადა, უზენაესი სასამართლოს მხარდაჭერით განხორციელდა მრავალი პროექტი, რომელიც მნიშვნელოვანია ქართული სამართლის ისტორიის პოპულარიზაციისთვის.

მართლმსაჯულების მუზეუმი" უკვე მე-8 თვეა ფუნქციონირებს და იგი უკვე ასეულობით მოქალაქემ დაათვალიერა.

# თბილისის საქალაქო სასამართლოში მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი გაიხსნა



*თბილისის საქალაქო სასამართლოში მოქალაქეთა მომსახურების ახალი ცენტრის პრეზენტაცია გაიმართა.*

პრეზენტაციას სასამართლო ხელისუფლების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

სტუმრებს უზენაესი სასამართლოს თავჯდომარე კოტე კუბლაშვილმა მიმართა და აღნიშნა, რომ მომსახურების ახალი ცენტრი ის ერთადერთი ადგილია სასამართლოში, სადაც ორივე მხარე კმაყოფილი უნდა იყოს.

მოწვეულ სტუმრებს ცენტრი დაათვალიერებინა საქალაქო სასამართლოს თამჯდომარე მამუკა ახვლედიანმა და მათ ცენტრის ეფექტურობაზე ესაუბრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი უახლესი ტექნიკური საშუალებებით არის აღჭურვილი და უზრუნველყოფს სასამართლოში საქმის მიღებისა და რეგისტრაციის პროცედურების მაქსიმალურ სიმარტივეს და მოქალაქეთა კომფორტულ გარემოს.

# საკანონმდებლო ცვლილება სარეკლამო sms-ებისგან თავის დასაცავად

*იმისთვის, რომ მოქალაქეებმა გახშირებული სარეკლამო sms-ების მიღებასგან თავი დაიცვან, საკანონმდებლო ცვლილებები იგეგმება. ცვლილებების ინიციატორი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ოფისია.*

საქმე ისაა, რომ საქართველოში მოქმედი კომპანიები აქტიურად მიმართავენ პირდაპირ მარკეტინგს მოკლე ტექსტური და ელექტრონული შეტყობინებების გაგზავნის გზით. მობილური ტელეფონის ნომრის ან ელექტრონული ფოსტის მფლობელებმა კი არ იცინ, როგორ მოხვდა მისი მონაცემები სარეკლამო და სავაჭრო კომპანიების ბაზაში. ვიდრე პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონში ცვლილებები შევა და ამოქმედდება, მოქალაქეებს მხოლოდ წერილობითი ფორმით შეუძლიათ მოითხოვონ მათ ნომერზე სარეკლამო sms-ების შეწყვეტა.

არსებობს ფინანსური სანქცია, რომელიც ამჯერად მოქმედ კანონშია ჩადებული და თუ მოქალაქე ჩათვლის, რომ პირდაპირი მარკეტინგი მის მიმართ არასწორად განხორციელდა, მას შეუძლება მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ოფისი განიხილავს საქმეს და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს. ასეთ შემთხვევაში, სხვადასხვა კომპანიას, შესაძლოა, 3000-დან 10 000 ლარამდე სანქცია დაეკისროს.

სანამ კანონმდებლობაში ცვლილებები შევა, მონაცემთა დაცვის ინსპექტორი კომპანიებს ურჩევს, დანერგონ სატელეფონო მეთოდით უარის თქმის მექანიზმი.

დღემდე ჩატარებული მოკვლევის შედეგად სარეკლამო sms-ების გაგზავნა ხდება უშუალოდ სხვადასხვა კომპანიების და არა მობილური ოპერატორების მიერ.

როგორც გაირკვა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, დანიშვნის დღიდან, არაერთმა მოქალაქემ მიმართა სარეკლამო შეტყობინებების კანონიერების თაობაზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" მოქმედი კანონით, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ პერსონალური ინფორმაცია (სახელი, მისამართი, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, ელექტრონული ფოსტის მისამართი) საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან არის მოპოვებული ან არსებობს მოქალაქის თანხმობა მისი მონაცემების დამუშავებაზე.

მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, აცნობოს მოქალაქეს, რომ მას აქვს უფლება., მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა და შექმნას ამ უფლების განხორციელების ქმედითი მექანიზმები. მოქალაქის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს მოთხოვნის მიღებიდან 10 დღეში.

ასევე, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, იცოდეს, თუ რა ინფორმაცია მუშავდება მის შესახებ და რა მიზნით, რა გზით შეგროვდა, ვისზე და რა საფუძვლით გაიცა მის შესახებ მონაცემები.

პროექტს ახორციელებს "საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი"

ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com

# 16 წლის ნინიკო ჩუბინიძის ტრაგედია ავსტრიელებმა გაიზიარეს



*Beglaubigte Übersetzung aus der georgischen in die deutsche Sprache*

**Georgien**
**Geburtsurkunde**
(erneuert ausgestellt)

| | |
|---|---|
| **Vorname:** | *Nino* |
| **Nachname:** | *Tschubinidze* |
| **Geburtsdatum:** | *5. Dezember1996 (der fünfte Dezember Neunzehnhundertsechsundneunzig)* |
| **Geburtsort:** | *Stadt Kutaisi* |
| **Republik:** | *Georgien* |
| **Geschlecht:** | *weiblich* |
| **Personalnummer:** | *keine Eintragung* |
| **Staatsangehörigkeit:** | *keine Eintragung* |
| **Datum der Eintragung der Geburt:** | *9. Dezember 1996 (der neunte Dezember Neunzehnhundertsechsundneunzig)* |
| **Nummer der Eintragung:** | *1800* |
| **Ort der Ausstellung der Urkunde:** | *Standesamt Nr. 1 der Stadt Kutaisi* |
| **Eltern:** | |
| **Vater:** | *Mamuka Tschubinidze* |
| **Personalnummer:** | *keine Eintragung* |
| **Staatsangehörigkeit:** | *keine Eintragung* |
| **Wohnort:** | *Georgien, Stadt Kutaisi* |
| **Mutter:** | *Maka Tschubinidze* |
| **Personalnummer:** | *keine Eintragung* |
| **Staatsangehörigkeit:** | *keine Eintragung* |
| **Wohnort:** | *Georgien, Stadt Kutaisi* |
| **Datum der Ausstellung der Urkunde:** | *24.05. 2006* |
| **Behörde der Ausstellung der Urkunde:** | *Archiv der Agentur für Zivilregister in Kutaisi* |
| **Unterschrift der Amtsperson:** | *Unterschrift unleserlich* |
| **Nummer der Urkunde:** | NK Nr. 437223 |
| **Siegel aufgedrückt** | |

Datum 20.01.2009






## რა მოხდა ვენაში და რატომ საყვედურობს ჭირისუფალი „აირზენას“ ვენის ოფისს

ლევან ხვედელიძე,
სპეციალურად „ვერსიისთვის“ ავსტრიიდან

**ამბავი, რომელმაც ავსტრიაში, ვენაში მცხოვრები ქართველები დაამწუხრა, ერთი წლის წინ მოხდა, მაგრამ საგაზეთო სტატიისთვის დეტალების დასაზუსტებლად, შვილის სიკვდილით გამწარებულ დედასთან მისვლა ძალიან გამიჭირდა. მერწმუნეთ, არ არის იოლი, ესაუბრო შვილმკვდარ მშობლებს, რომელთაც ჭირისუფლად საკუთარი სამშობლო კი არა, ავსტრიის სახელმწიფო და მისი რიგითი მოქალაქეები ჰყავს. არც საქართველოს სახელმწიფომ შეიწუხა თავი, როგორც ხდება ხოლმე და არც ვენაში „აირზენას“ თანამშრომლებმა გამოიჩინეს გულისხმიერება გამწარებული ოჯახის მიმართ. რა მოხდა ვენაში — 16 წლის ნინიკო ჩუბინიძის ტრაგედია.**

ნინო ჩუბინიძე ქუთაისში დაიბადა, 1996 წლის 5 დეკემბერს. 9 წლის იყო, თავის ტვინის სიმსივნე — მედულობლასტომა რომ აღმოაჩნდა. პირველი ოპერაცია საქართველოში, თბილისის მე-9 საავადმყოფოში გაუკეთდა 2005 წელს. მაშინ ოჯახმა ყველაფერი გაყიდა, რაც ებადა, უძრავი თუ მოძრავი ქონება, ოპერაციის თანხა და 2-წლიანი ქიმიოთერაპიის კურსი რომ დაეფინანსებინა, ჯანდაცვის სამინისტრომ და, ზოგადად, სახლმწიფომ კი, ნინიკოს დახმარებაზე უარი უთხრა.

2008 წელს ოჯახი სამკურნალოდ ავსტრიაში ჩამოვიდა. 2010 წლის ნოემბერში, ვენის ცენტრალურ საავადმყოფოში AKH-ში გაუკეთდა განმეორებითი ოპერაცია და ჩაუტარდა ოპერაციისშემდგომი მკურნალობა ქიმიო და რადიოთერაპიით, თუმცა ბავშვის მდგომარეობა გაუარესდა. ვენის ფსიქოონკოლოგიურმა განყოფილებამ აიღო ვალდებულება, ნინო ჩუბინიძისთვის ყველა სურვილი შეესრულებინა და მის კომფორტზე ეზრუნა დარჩენილი თვეების გასახალისებლად. აგრეთვე გადაეხადა ყოველთვიური ფულადი დახმარება 100 ევროს ოდენობით.

აქვე მინდა, შემოგთავაზოთ იმ საჩუქრების ჩამონათვალი, რომელიც სიცოცხლის ბოლო დღეებს უხალისებდა ნინო ჩუბინიძეს და აგრძნობინებდა, რომ ჯერ კიდევ არ არის განწირული, რომ ადამიანებს მისი სიცოცხლე სჭირდებათ... სამწუხაროა და ტრაგიკული ის, რომ ეს ადამიანები ქართველები არ იყვნენ და არც საქართველოს სახელმწიფო დაინტერესებულა თავისი მოქალაქეების ბედით: ნოუთბუქი ASUS — 500 ევრო. ტელევიზორი GRUNDIG, თავისი SONY DVD პლეერით, რაც 700 ევრომდე ჯდება, ოჯახისთვის სარეცხი მანქანა — 300 ევრო. ექსკურსიები, დასასვენებლად გაშვება, რაც ერთი თვე 400 ევრო უჯდებოდათ. ინვალიდი ბავშვების სკოლა და მომსახურეობა მანქანით, სკოლაში ტარების სერვისი, თვეში 900 ევრო ღირს. ამ ჩამონათვალს მხოლოდ იმიტომ ვაქვეყნებთ, რომ ის სახელმწიფო ჩინოვნიკები, ვისაც ევალება, მძიმე ავადმყოფობის გამო განწირულ ადამიანებს ტკივილი შეუმსუბუქონ, ოდნავ მაინც ჩავაფიქროთ.

2013 წლის 9 იანვარს ნინიკო ჩუბინიძე გარდაიცვალა. ავსტრიის ხელისუფლებამ და ვენის მთავრობამ ოჯახს 1300 ევრო გადაუხადა, სამშობლოში გადასვენების თანხა, ასევე „კარიტასმა“ გამოუყო ოჯახს დამატებით 1000 ევრო, ხოლო მამას სამგზავრო ბილეთის ფული 450 ევრო ვენის საავადმყოფომ აუნაზღაურა. სხვათა შორის, ბილეთი „აირზენასგან“ უყიდეს(?!).

რაც შეეხება „აირზენას“ — გოგონას ცხედარი საავადმყოფოს მაცივარში თვე და ერთი კვირა ინახებოდა. დაღუპვისთანავე, მშობლებიცა და საავადმყოფოც უკავშირდებოდა „აირზენას“, რათა გაეგოთ, როდის შესრულდებოდა რეისი „ბოინგით“, რადგან სხვა თვითმფრინავით ცხედრის გადასვენება არ შეიძლება. ამასთანავე „კარიტასი“, „წითელი ჯვარი“ და ვენის მუნიციპალიტეტი დაინტერესებული იყო. რაღა თქმა უნდა, მეც მინდოდა მატერიალურის გარდა, საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაშიც დავხმარებოდი; მინდოდა, დავკავშირებოდი მერაბ ღვინაძეს, რომელიც ვენაში „აირზენას“ თანამშრომელია და რომელსაც პირადად ვიცნობ, მაგრამ მობილურ ტელეფონზე არ გვიპასუხა. არადა, როცა მერაბის ვაჟის, გიორგი ღვინაძის სასცენო დებიუტი შედგა ვენაში, ვრცელი რეცენზია დავწერე და მისგან მადლობაც დავიმსახურე. არ მჩვევია რესპონდენტებისგან, მადლიერების ნიშნად, „ფრეზენთების“ მიღება და ამიტომაც თავს უფლება მივეცი, ღვინაძისთვის მეთხოვა, დახმარებოდა გამწარებულ ოჯახს, მაგრამ „დაგვაიგნორა“. მარტო ეს კი არა, ვერც ნინიკოს მამას — მამუკას მოუხერხა „აირზენამ“ მიცვალებულთან ერთად ერთი რეისით გამგზავრება, მიუხედავად იმისა, ამდენი ორგანიზაცია იყო ჩარეული. „აირზენამ“ არა მარტო დაიწუნა აეროპორტში მამუკა ჩუბინიძის საბუთები, არამედ სანამ გაარკვია, რომ დოკუმენტაცია წესრიგში იყო, რეისიც კი ჩაუგდო, თუმცა ამისთვის კომპანიას ოჯახისთვის არც ბოდიში მოუხდია და არც შეწუხებულა. სამაგიეროდ, ბილეთი ვენის საავადმყოფოს ხელახლა გაუხდა საყიდელი — გარდაცვლილი ნინიკო ჩუბინიძე 2013 წლის 14 თებერვალს გადმოასვენეს. მამა 4 დღით ადრე უნდა ჩამოფრენილიყო და დახვედროდა თბილისის აეროპორტში ცხედარს, მაგრამ სწორედ „აირზენას“ გამო, გადასვენებიდან ერთი დღის შემდეგ ჩამოფრინდა. ეს იყო გამწარებული ოჯახის ხელოვნურად გართულებული ტრაგედია.

სტატია იწერება მხოლოდ იმის გამო, ადამიანები, კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურებში რომ მუშაობენ, კიდევ ერთხელ ჩავაფიქროთ მარტივ ჭეშმარიტებაზე — თუ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, დახმარება არ შეუძლიათ, გულისხმიერება მაინც გამოიჩინონ და ნუ დაუმძიმებენ, ისედაც მძიმე ცხოვრებას უკურნებელი სენით დაავადებულ ადამიანებსა და მათ ჭირისუფალს.

## ვერსიანიუსი

### კიევის ევრომაიდანზე „ქართული კუთხე“ გახსნეს და დემონსტრანტებს უმასპინძლდებიან



„მოდის ხალხი და შეძახილებია: „საქართველოს გაუმარჯოს!“; „მიშას გაუმარჯოს!“ – საქართველო და მიშა განუყრელია უკრაინელებისათვის...“ კიევის ევრომაიდანზე „ქართული კუთხე“ გაიხსნა, სადაც უკრაინელ დემონსტრანტებს ტრადიციული მწვადითა და სხვა კერძებით უმასპინძლდებიან, – წერს სოციალურ ქსელში კიევში მიმდინარე დემონსტრაციების ქართველი მონაწილე ირმა სამნიაშვილი და ფოტოებსაც აქვეყნებს. ირმა სამნიაშვილი აქვე განმარტავს, რომ „ქართული კუთხე“ ორი ქართველი ბიზნესმენის, გორელი ძმების ინიციატივითა და დაფინანსებით გაიხსნა და საღამოს 18:00 საათიდან უმასპინძლდება ევრომაიდნელებს.

**„ძმებმა შეკრიბეს ქართველები მაიდანზე და ყველა დაასაქმეს, ისეთი ფუსფუსია, ქართული დროშის ქვეშ, უკრაინელები გადარეულები არიან, მადლობას იხდიან, ცრემლიანი თვალებით და იძახიან, რომ ნამდვილი მეგობარი ასეთ დროს გამოიცნობა!“,** – წერს ირმა სამნიაშვილი „ფეისბუქზე“.

***„ნიუსპოსტი“***

### ვენეციის კომისია ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის სრული დეკრიმინალიზაციის რეკომენდაციას იძლევა



რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის, ქეთევან ციხელაშვილის განცხადებით, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიის დასკვნა ადასტურებს, რომ ხელისუფლება სწორი მიმართულებით მიდის. ვენეციის კომისია საკუთარ დასკვნაში მიესალმება რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შემუშავებულ პროექტს, რომლის მიხედვით, იმ პირის პასუხისმგებლობა, ვინც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის პროცედურას დაარღვევს, სისხლის სამართლის სფეროდან ადმინისტრაციულ სამართალში ინაცვლებს. მეტიც, კომისია მიიჩნევს, რომ კანონი ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონო შესვლაზე მეტი ლიბერალიზაციისკენ და სანქციების რეჟიმის მეტი შერბილებისკენ უნდა წავიდეს.

**„უფრო მისაღებია, თუ სანქციები ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესების დარღვევისთვის მთლიანად დეკრიმინალიზებული იქნებოდა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გამონაკლისების გარეშე შევიდოდა. ასეთი ზომა უფრო მოქნილ მექანიზმს მოგვცემდა და ოკუპირებულ ტერიტორიებთან საქმიან პოლიტიკას წაახალისებდა“,** — წერს ვენეციის კომისია დასკვნაში, რომელიც 9 დეკემბერს მიიღეს. როგორც ქეთევან ციხელაშვილმა განმარტა, ვენეციის კომისიის ამ მოსაზრებისა და რეკომენდაციის საფუძველზე, პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტში რაიმე სხვა ცვლილებების შეტანა დაგეგმილი არ არის.

***„ინტერპრესნიუსი“***




# დეველოპერული კომპანია m² უძრავი ქონება — ნუცუბიძის ქუჩასა და ყაზბეგის გამზირზე 2 ახალ პროექტს იწყებს

დეველოპერული კომპანიის წარმომადგენლებმა, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე აუწყეს ჟურნალისტებს ორი ახალი პროექტის დაწყების შესახებ. „m2 უძრავი ქონების“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ირაკლი ბურდილაძის** განმარტებით, იმან, რომ „m2 იპოდრომთან“ საცხოვრებელ კომპლექსში ბინები სწრაფი ტემპით იყიდება, კომპანიას საშუალება მისცა, ამ პროექტისთვის აღებული კრედიტი წინასწარ დაეფარა: **„იპოდრომთან საცხოვრებელ კომპლექსში ბინების 90% უკვე გაყიდულია. გაყიდვების სწრაფმა ტემპმა მოგვცა საშუალება, წინსწრებით დაგვეფარა სესხი, რომელიც აღებული გვქონდა ჰოლანდიის განვითარების ბანკისგან. ასეთი რამ, საქართველოს კი არა, მგონი, ზოგადად, უძრავი ქონების დეველოპმენტის ისტორიაში პირველად ხდება. საკრედიტო რესურსის წინსწრებით დაფარვის შემდეგ, კომპანია ყველანაირი საკრედიტო ვალდებულებისგან გათავისუფლდა. ამ ფონზე, მოგვეცა საშუალება, საახალწლოდ მომხმარებელს საკმაოდ საინტერესო აქცია შევთავაზოთ „მ2 იპოდრომზე“ მდებარე ბინებზე“.**

კომპანია ახალ წელს ორი ახალი პროექტით ხვდება — დეკემბერში, „m² უძრავი ქონება“ ორ ახალ საცხოვრებელ პროექტს იწყებს, თბილისში, ნუცუბიძის ქუჩასა და ყაზბეგის გამზირზე. ირაკლი ბურდილაძის განმარტებით, **„ორივე პროექტი დაფინანსებულია საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა (IFC) და კანადის მთავრობის მიერ. დაფინანსების საერთო მოცულობა 14 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. აქედან 4 მილიონი აშშ დოლარი კანადის მთავრობამ, უშუალოდ, ენერგოეფექტური ბინების მშენებლობის მიზნით გამოყო. ორივე პროექტი მწვანე სტატუსის მატარებელია. ორივე კომპლექსი ენერგოეფექტური იქნება, რაც მობინადრეებს მისცემს საშუალებას, კომუნალური ხარჯები 20-23%-ით შეამცირონ“.**

m2 ნუცუბიძეზე და m2 ყაზბეგზე ბინები დასრულებული რემონტით ჩაბარდება მფლობელს. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპლექსში საცხოვრებლად გადასვლას, მისი დასრულებისთანავე შეძლებთ და არც მეზობლების რემონტისას წარმოქმნილი დისკომფორტი, ხმაური ან მტვერი შეგაწუხებთ. რემონტის გარდა, ბინაში კომპანია იტალიურ სამზარეულოს, ჩაშენებულ გაზქურასა და გამწოვს დაგახვედრებთ. ბინის დაგეგმარებაში, ინტერიერის დიზაინისა და სარემონტო მასალების შერჩევაში, ცხადია, აქტიურად შეგიძლიათ ჩაერთოთ. კომპანია სამშენებლო მასალების ფართო ასორტიმენტსა და ინტერიერის დიზაინის მრავალფეროვან არჩევანს გთავაზობთ.

**„სამშენებლო სამუშაოები 2014 წლის იანვრიდან იწყება და 24 თვის განმავლობაში ყველა მობინადრე შეძლებს თავის ბინაში შესვლას. არ ვღალატობთ ჩვენს ტრადიციას და ბინებს სრული რემონტით ვაბარებთ. მშენებლობის ევროკოდებით განხორციელება გვაძლევს იმის საშუალებას, ჩვენი კომპლექსი სტრუქტურულად და სეისმურად უფრო გამძლე იყოს. ვცდილობთ, მომხმარებელს საუკეთესო პირობები შევთავაზოთ. ჩვენი კომპანიის სლოგანიც ხომ ამას გულისხმობს — იცხოვრე უკეთერსად!“,** — განაცხადა ირაკლი ბურდილაძემ და დეტალურად აღწერა ყველა ის პირობა, რომელიც ორივე ახალ პროექტში, მომხმარებელს, მაქსიმალურ კომფორტს შეუქმნის:

საცხოვრებელი კომპლექსი „m² ნუცუბიძეზე“, რომლის ჩაბარება 2015 წლის ნოემბერში იგეგმება, მოსახერხებელ ადგილას მდებარეობს — კომპლექსი მეტრო ვაჟა-ფშაველადან 300 მეტრის მანძილზეა და სამი მხრიდან უდგება საავტომობილო მისასვლელი. ნუცუბიძის კომპლექსის ინფრასტრუქტურა მოიცავს ორსართულიან ავტოსადგომს, შიდაეზოს დიდი სპორტული მოედნით და სარეკრეაციო ზონებით. ბინების ფართი 45 კვმ-დან იწყება, ნებისმიერი ბინის პროექტში მფლობელს საშუალება ეძლევა შეიტანოს შესწორება და საკუთარი მოთხოვნის მიხედვით გააერთიანოს ბინები, შეცვალოს განლაგება და იყიდოს ზუსტად იმ ფართის ბინა, რაც მას ჭირდება. კომპლექსის მომსახურება მოიცავს 24-საათიან დაცვას, სადარბაზოების დასუფთავებასა და გამწვანების მოვლას. დამატებითი უსაფრთოების მიზნით, კომპლექსი აღჭურვილი იქნება საერთაშორისო სტანდარტების მქონე ხანძარსააწინმააღმდეგო სისტემით.

„m² ყაზბეგზე“, რომლის ჩაბარებაც 2016 წლის თებერვალში იგეგმება, ქალაქის ორ ცენტრალურ გამზირს შორის მდებარეობს და ორი მხრიდან აქვს საავტომობილო მისასვლელი. ბინები დასრულებული რემონტით 42 კვ.მ-დან იწყება. ბინის დაგეგმარება და ინტერიერის დიზაინი მობინადრეს თავად შუძლია განსაზღვროს, რისთვისაც კომპანია მას სარემონტო მასალების დიდ და მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს. ყაზბეგის კომპლექსის ინფრასტრუქტურა მოიცავს 3,500 კვ.მ სარეკრეაციო ზონას, მრავალწლიან ნარგავებს და მიწისქვეშა ავტოსადგომს. ამ კომპლექსშიც ასევე გათვალისწინებული საერთაშორისო სტანდარტების ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა.

კომპლექსებში ბინების შეძენის მსურველებს, შეუძლიათ იპოთეკური სესხითაც ისარგებლონ და უპროცენტო შიდაგანვადებითაც: **„შიდაგანვადების შემთხვევაში, მინიმალური თანამონაწილეობა შეადგენს ბინის ღირებულების 20%-ს. აღსანიშნავია, რომ განვადების ვადა მშენებლობის ბოლომდე გრძელდება, ანუ კომპლექსში „m² ნუცუბიძეზე“ 2015 წლის ნოემბრამდე, ხოლო კომპლექსში „m² ყაზბეგზე“ — 2016 წლის თებერვლამდე. ბინის მფლობელი სრულ თანხას კომპლექსის დასრულებამდე იხდის, უზრუნველყოფას კი მხოლოდ შესაძენი უძრავი ქონება შეადგენს“,** — აღნიშნა ირაკლი ბურდილაძემ.





# ჰოროსკოპი
## 25 დეკემბერი

***ვერძი*** — არავითარ შემთხვევაში არ გადაუხვიოთ გეგმებს, მხოლოდ ასე მიაღწევთ წარმატებას. თუ ვინმე შეეცდება, სასურველ მიზანზე უარი გათქმევინოთ, არ დათანხმდეთ. შედეგი დამოკიდებული იქნება მხოლოდ თქვენს ნებისყოფაზე.

***კურო*** — პროფესიული საქმეები და ფინანსური მდგომარეობა იმდენად დასტაბილურდება, რომ თავადვე დარჩებით გაკვირვებული. მთავარია, გააგრძელოთ საქმიანობა იმავე მიმართულებით. არ არის გამორიცხული, საღამოს საყვარელმა ადამიანმა უჩვეულო სიურპრიზით გაგაოცოთ.

***ტყუპები*** — თქვენი ოჯახური ცხოვრება სიახლეს საჭიროებს. მოუწყვეთ სიურპრიზი საყვარელ ადამიანს, გაატარეთ ერთად დაუვიწყარი საღამო და ასე აიცილებთ თავიდან უსიამოვნებას. დღეს ბედი გაძლევთ შანსს, გაამყაროთ ოჯახური და სასიყვარულო კავშირები.

***კირჩხიბი*** — ვარსკვლავები შესაძლო თავბრუდამხვევ რომანტიკულ შეხვედრას წინასწარმეტყველებენ ადამიანთან, რომელიც ცოტა ხნის წინ გაიცანით. მოემზადეთ ამ მნიშვნელოვანი მოვლენისთვის, შეეცადეთ, მოწოდების სიმაღლეზე იყოთ, მაგრამ ქედმაღლობას ნუ გამოიჩენთ.

***ლომი*** — დღე ბევრ საინტერესო მოვლენას გპირდებათ. გაოცებული დარჩებით, იმდენად ბევრი შეხვედრა, ახალი ნაცნობობა და სასიამოვნო საუბარი გელით. შეეცადეთ, არ ჩაერთოთ ხანგრძლივ დისკუსიებში და ზედმეტად ნუ ჩაუღრმავდებით რომელიმე თემას.

***ქალწული*** — დაძაბულობა, რაც ბოლო დღეებში გადაიტანეთ, დასრულდება. თავს გაცილებით მშვიდად იგრძნობთ და მეგობრებთან დროის გატარებაზეც არ იტყვით უარს.

***სასწორი*** — დადგა დრო, გამოიჩინოთ ინიციატივა და ხელმძღვანელობას დაუმტკიცოთ საკუთარი პროფესიონალიზმი, რაც კარიერულ წინსვლაში უდავოდ დაგეხმარებათ.

***ღრიანკალი*** — ცდუნება საკმაოდ ბევრი იქნება. მეგობრები და ნაცნობები საეჭვო ღონისძიებებზე დაგპატიჟებენ. შეეცადეთ, თავი ხელში აიყვანოთ, გააანალიზოთ საკუთარი ქმედება და დაივიწყოთ პროვოკაციული აზრები.

***მშვილდოსანი*** — მშვილდოსნებისთვის მთავარი საპირისპირო სქესთან ურთიერთობა იქნება. ვარსკვლავები გირჩევენ, ყოველდღიურ ფაციფუცსა და რუტინას შეეშვათ და გრძნობებს მიენდოთ.

***თხის რქა*** — ნ შესანიშნავად იმუშავეთ, ახლა კი დადგა დრო, დაისვენოთ და სამომავლო გეგმებზე კარგად დაფიქრდეთ. გარემოს შეცვლა აუცილებელია, ასე რომ, ცოტა ხნით არსებულ პრობლემებს თუ დაივიწყებთ, ამით არაფერი დაშავდება.

***მერწყული*** — ვარსკვლავები გირჩევენ, აუცილებლად გამონახოთ დრო საყვარელ ადამიანთან შესახვედრად, ეს თქვენს ურთიერთობას ახალ ენერგიას შთაბერავს და შესაძლოა, ამან საპასუხისმგებლო ნაბიჯის გადადგმისკენაც გიბიძგოთ.

***თევზები*** — კარგი იქნება, თუ იმიჯს შეიცვლით. ნაკლები აგრესია გამოიჩინეთ გარშემომყოფების მიმართ, ამით თქვენც დამშვიდდებით და არსებული დაძაბულობაც უკვალოდ გაქრება.

# სიმაღლე ინფარქტისგან იცავს

მედიკოსები აცხადებენ, რომ ყველაზე იშვიათად ინფარქტი მაღალ ადამიანებს ემართებათ, რადგან მათი არტერიები ნაკლებადაა დახშული, ვიდრე დაბლებისა. ეს დასკვნა ამერიკელმა კარდიოლოგებმა რამდენიმე კვლევის შედეგებით გაამყარეს, რომელშიც სამი ათასზე მეტი პაციენტი მონაწილეობდა. აღმოჩნდა, რომ რაც მეტია ადამიანის სიმაღლე, მით უფრო სასარგებლოა ეს მისი გულსისხლძარღვთა სისტემისთვის. ასეთ პაციენტებს 30%-ით ნაკლები ათეროსკლეროტული თრომბები აქვთ, ვიდრე გაცილებით დაბალ ადამიანებს. ეს ვარაუდი კომპიუტერული ტომოგრაფიითაც დადასტურდა, თუმცა ამ დამოკიდებულების გათვლისას ზოგიერთი შესწორებაც უნდა იქნას შეტანილი პაციენტის სქესის გათვალისწინებით — ტრადიციულად, ქალის სიმაღლე, კაცთან შედარებით, უფრო ნაკლებია. უფრო ადრე სპეციალისტებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ დაბალ ადამიანებს მოკლე კორონარული არტერიები აქვთ და ამის გამო ისინი უფრო მეტად ექცევიან პათოლოგიური და ასაკობრივი ცვლილებების ქვეშ.




# სტრესი კბილებს ვნებს



სტრესი საშიშია კბილებისთვის, — ამ დასკვნის გაკეთებაში შვეიცარელ სწავლულებს 50 სტუდენტი-მედიკოსი და ადამიანების ფსიქიკა დაეხმარა, რაც დეტალურად შეისწავლეს ფსიქოლოგებმა და სტომატოლოგებმა. მოხალისე სტუდენტები ორ ჯგუფად დაყვეს, პირველის წევრებს ერთი თვის განმავლობაში რთული სესიისთვის ამზადებდნენ, მეორე ჯგუფის წევრები კი ჩვეულებრივ მეცადინეობას ესწრებოდნენ. აღმოჩნდა, რომ სესიების წინ სტრესი უარყოფითად მოქმედებს კბილებისა და ღრძილების მდგომარეობაზე: თითქმის ყველა სტუდენტს პირის ღრუს მდგომარეობა გაუუარესდა, მათგან ექვსს კი ღრძილების ანთებაც განუვითარდა. მეორე ჯგუფის წარმომადგენლებმა კი ჯანმრთელი კბილები შეინარჩუნეს. მეცნიერთა მოსაზრებით, სტრესის დროს ადამიანები ხშირად კბილს კბილზე აჭერენ, რაც ნეგატიურად აისახება ჯანმრთელობაზე.

# ტატუირებულებს ფასდაკლებით მოემსახურებიან

აშშ-ს ოჰაიოს შტატში მდებარე ერთ-ერთი რესტორნის მფლობელმა სამუდამო ფასდაკლება შესთავაზა იმ კლიენტებს, რომლებიც დათანხმდებიან და დაწესებულების საფირმო სენდვიჩისგამოსახულებიან ტატუს გაიკეთებენ. ფასდაკლება 25%-ია და ის მენიუს ყველა კერძზე ვრცელდება. რესტორნის ხელმძღვანელობამ ეს აქცია ახლომდებარე ტატუ-სალონთან ერთად წამოიწყო, რომელიც თავის მხრივ, კლიენტებს სენდვიჩის ტატუს გაკეთებაზე ფასს დაუკლებს. სალონის სტილისტები იმის გარანტიასაც იძლევიან, რომ ყველა მსურველს ერთნაირი ფორმის, სტანდარტულ სენდვიჩს არ დაახატავენ.



# Facebook განქორწინებაში დაადანაშაულეს

დიდ ბრიტანეთში ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, იმ წყვილების 20%-მა, ვისაც განქორწინების თაობაზე განცხადება აქვს შეტანილი, ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მეუღლის facebook-ში აქტიურობა დაასახელა. გაყრის მსურველ ყოველ მეხუთე ბრიტანელს ამ სოციალურ ქსელში მეორე ნახევრის აქტიურობა, მაგალითად, ფლირტი ან ინტიმური მიმოწერა აღიზიანებს. როგორც იურისტები აღნიშნავენ, „ვირტუალურად მოღალატე“ მეორე ნახევრის მიერ „ფეისბუქში“ დატოვებულ კომენტარს ან მესიჯებს მეუღლეს უცხო ადამიანები ატყობინებენ ხოლმე. ზოგ შემთხვევებში ეჭვიანობა იმითაა გამოწვეული, რომ სოციალური ქსელის მეშვეობით ადამიანებს ყოფილ პარტნიორებთან აქვთ ურთიერთობა, სხვა შემთხვევებში კი, უბრალოდ, ვირტუალურ რომანზეა საუბარი. ბოლო ორი წლის განმავლობაში ბრიტანეთში რამდენიმე მკვლელობა მოხდა facebook-ის სტატუსის გამო. 34 წლის უეინ ფორესტერმა და 31 წლის ბრაიან ლუისმა ცოლები იმის გამო დახოცეს, რომ ქსელში სტატუსი „გათხოვილი“ „მარტოხელათი“ შეცვალეს.






# ჰოროსკოპი
## 26 დეკემბერი

***ვერძი*** — არ არის გამორიცხული, მოულოდნელი წინადადება მიიღოთ ან ძველ ბიზნესპარტნიორს შეხვდეთ, დღეს იმ ადამიანების მხარდაჭერასაც იგრძნობთ, ვინც აქამდე თქვენი მოკავშირე არ ყოფილა.

***კურო*** — საღამო ოჯახურ კავშირს უფრო ჰარმონიულს გახდის, გადაჭარბებულმა ამპარტავნობამ და იმპულსურობამ კი შეიძლება ნაჩქარევი ნაბიჯების გადადგმა გამოიწვიოს, რაც ნაკლებსასურველია, ამიტომ კარგი იქნება, თუ ვითარებას ცივი გონებით შეაფასებთ.

***ტყუპები*** — ტყუპებს უფროსობასთან კამათი ელის. მოერიდეთ მემკვიდრეობის საკითხების განხილვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაღიზიანებისა და წყენის გარდა, არაფერს მიიღებთ. დღეს არც სასიყვარულო ურთიერთობებში გელით წარმატება და ძველი წყენაც იჩენს თავს.

***კირჩხიბი*** — არახელსაყრელი დღეა ხელისუფლების წარმომადგენლებთან შესახვედრად. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია ვითარების ყურადღებით გაანალიზება. დაგეგმეთ დასვენება, შვებულება ან მოგზაურობა — საყვარელ ადამიანთან დროის გატარება სიმშვიდეს მოგგვრით.

***ლომი*** — შესაძლოა, საკუთარი ილუზიებისა და ოცნებების ტყვეობაში აღმოჩნდეთ, თუმცა ეს ხელს ვერ შეგიშლით დასახული გეგმების განხორციელებაში. გარშემომყოფებთან ურთიერთობაში ბევრ პრობლემას წააწყდებით. თუ კომპრომისზე არ წახვალთ, ვითარება უკიდურესობამდე გამწვავდება.

***ქალწული*** — ემოციურ აღმაფრენას იგრძნობთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, არ დაკარგოთ სიმშვიდე. შეეცადეთ, თავი აარიდოთ კამათს საყვარელ ადამიანთან და საქმიან შეხვედრასაც ნუ დანიშნავთ.

***სასწორი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღე სულიერ წონასწორობას ჰპირდება. საქმეებიც დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს და პრობლემების უმრავლესობაც მარტივად გვარდება. სასიცოცხლო პოტენციალი მაღალ დონეზეა, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა კი — ჰარმონიული.

***ღრიანკალი*** — უკვე მოძველებული პრობლემების გადაჭრისთვის საინტერესო ხერხი მოიფიქრეთ. არ ღირს მოდუნება, რადგან გონებაგახსნილობა მთელი დღის განმავლობაში გესაჭიროებათ. მხოლოდ ძალების კონცენტრაცია შეცვლის ვითარებას უკეთესობისკენ.

***მშვილდოსანი*** — უსიამოვნო დღეა, რომელიც თქვენგან სიმტკიცეს მოითხოვს. დაწყებულ საქმეს დიდი ძალისხმევა და გადაწყვეტილების სწრაფად მიღება სჭირდება. ასეთი დაძაბულობის მიუხედავად, მაინც შეძლებთ ყველა წინააღმდეგობის გადალახვას, რაშიც საქმისადმი არასტანდარტული მიდგომა დაგეხმარებათ.

***თხის რქა*** — დღეს საქმიან შეხვედრებს ნუ დაგეგმავთ და მივლინებაც გადადეთ. თუ არ აჩქარდებით, საქმის ბოლომდე მიყვანის საშუალება მოგეცემათ. დღეს ფორტუნა არქიტექტორებისა და კონსტრუქტორების მხარესაა.

***მერწყული*** — მერწყულებს სამსახურში მეტი სიფრთხილე და ყურადღება მართებთ — ოცნებები რეალობას უნდა შეესაბამებოდეს. საპირისპირო სქესთან ურთიერთობაში წარმატებები გელით. მოსალოდნელია ძველი სასიყვარულო ურთიერთობების განახლება.

***თევზები*** — კარგი დღეა ურთიერთობებისთვის, ცვლილებებისთვის პირად ცხოვრებაში. ბევრი ისეთი ადამიანისგან იგრძნობთ მხარდაჭერას, ვინც ადრე თქვენგან შორს იდგა. არ არის გამორიცხული, სამუშაოძ ჩვეულებრივზე მეტი ყურადღება და ძალისხმევა მოითხოვოს.

# ს უ დ ო კ უ მ ა ნ ი ა

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | 3 | 7 | 1 | | | | |
| | 7 | | | | 4 | 1 | | |
| | 2 | | | | 5 | | | |
| | | | 2 | | | 5 | | |
| 2 | 9 | | | | | | 6 | 3 |
| | | 6 | | | 7 | | | |
| | | | 6 | | | | 8 | |
| | | 9 | 1 | | | | 3 | |
| | | | | 7 | 2 | 9 | | 5 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | | 6 | | | | 7 |
| 2 | 1 | | | | 4 | | | |
| | | 5 | | | | 9 | | |
| 6 | 5 | | 3 | | | | 7 | |
| | 2 | | | | | | 3 | |
| | 8 | | | | 6 | | 1 | 5 |
| | | 2 | | | | 5 | | |
| | | | 4 | | | | 6 | 8 |
| 4 | | | | 1 | | 7 | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | | 1 | | | | 2 |
| | 5 | | | | 6 | | | |
| | 2 | 1 | | 8 | | 7 | 6 | |
| | 8 | 9 | | | | | | |
| 1 | | 5 | | 9 | | 8 | | 6 |
| | | | | | | 2 | 1 | |
| | 7 | 4 | | 5 | | 3 | 2 | |
| | | | 4 | | | | 8 | |
| 9 | | | | 2 | | | 5 | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 5 | | | 1 | |
| | 8 | | 7 | | | | | |
| 2 | | 4 | | | 8 | | | 3 |
| | 4 | 5 | | | | | 8 | 7 |
| | | 9 | | | | 4 | | |
| 3 | 7 | | | | | 2 | 9 | |
| 4 | | | 5 | | | 8 | | 1 |
| | | | | | 3 | | 7 | |
| | 6 | | | 2 | | | | |

# წლის ქველმოქმედი მილიარდერები



პოპულარულმა ამერიკულმა გამოცემა „ფორბსმა“ ცოტა ხნის წინ მსოფლიოში ქველმოქმედი მილიადერების სია შეადგინა, რომელშიც სულ 14 ადამიანი მოხვდა. ყოველმა მათგანმა საქველმოქმედო საქმიანობისთვის მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯა, მათ შორის კი ყველაზე სოლიდური თანხა „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელს, ბილ გეითსს აქვს გაღებული — ქველმოქმედებას წლების განმავლობაში მან უკვე 28 მილიარდი დოლარი მოახმარა. დღეს, მსოფლიოში სულ 793 მილიარდერი ცხოვრობს, რომელთაგან მხოლოდ 11 ხარჯავს სერიოზულ თანხას ქველმოქმედებაზე. „ფორბსის“ სიაში მოხვდა კიდევ სამი ადამიანი, რომლებიც იმიტომ არ არიან მილიარდერები, რომ საკმაოდ დიდ ფულს ხარჯავენ სხვების დასახმარებლად. გამოცემის აზრით, ბევრმა შეძლებულმა ადამიანმა სწორედ ბილ გეითსისგან აიღო ქველმოქმედების მაგალითი. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ამ ფილანტროფთაგან აბსოლუტური უმრავლესობა საკუთარი ნიჭისა და შრომის წყალობით გამდიდრდა და ქონება მემკვიდრეობით არ რგებია. ერთადერთი გამონაკლისი, რომელსაც შთამბეჭდავი მემკვიდრეობა წინაპრებმა დაუტოვეს, შვეიცარელი შტეფან შმიდჰეინია.

ქველმოქმედ მილიარდერთა სიაში მეორე ადგილს ჯორჯ სოროსი იკავებს, რომელმაც 7,2 მილიარდი დოლარი დახარჯა, მისი ფონდი მსოფლიოში უდიდესი საქველმოქმედო ორგანიზაციაა, რომელიც სხვადასხვა პროექტებზე ყოველწლიურად თითქმის 3 მილიარდ დოლარს ითვალისიწნებს;

მესამე ადგილზე კომპანია „ინტელის“ დამფუძნებელი გორდონ მურია, რომელმაც კეთილ საქმეებს 6 მილიარდი დოლარი მოახმარა, შემდეგ საფეხურზე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინვესტორი უორენ ბაფეტია — მას ქველმოქმედებაზე 6,7 მილიარდი აქვს გაღებული. ხუთეულში შევიდა ასევე სამშენებლო და სადაზღვევო მაგნატი, ფილანტროპი ელი ბროუდიც. აღსანიშნავია, რომ სიაში შესული 14 ქველმოქმედი მილიარდერიდან 10 ამერიკელია.

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 4 | 3 | 6 | 1 | 2 | 8 | 7 | 5 |
| 2 | 7 | 8 | 5 | 4 | 9 | 6 | 3 | 1 |
| 6 | 5 | 1 | 3 | 8 | 7 | 4 | 2 | 9 |
| 8 | 6 | 7 | 4 | 9 | 5 | 3 | 1 | 2 |
| 3 | 2 | 5 | 8 | 6 | 1 | 7 | 9 | 4 |
| 4 | 1 | 9 | 2 | 7 | 3 | 5 | 8 | 6 |
| 1 | 9 | 6 | 7 | 5 | 8 | 2 | 4 | 3 |
| 7 | 3 | 4 | 1 | 2 | 6 | 9 | 5 | 8 |
| 5 | 8 | 2 | 9 | 3 | 4 | 1 | 6 | 7 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 6 | 5 | 3 | 2 | 9 | 1 | 8 |
| 9 | 5 | 3 | 8 | 1 | 7 | 6 | 4 | 2 |
| 2 | 1 | 8 | 9 | 4 | 6 | 5 | 3 | 7 |
| 8 | 2 | 5 | 1 | 9 | 4 | 7 | 6 | 3 |
| 4 | 3 | 1 | 7 | 6 | 8 | 2 | 5 | 9 |
| 6 | 7 | 9 | 3 | 2 | 5 | 4 | 8 | 1 |
| 5 | 9 | 7 | 4 | 8 | 3 | 1 | 2 | 6 |
| 3 | 6 | 4 | 2 | 7 | 1 | 8 | 9 | 5 |
| 1 | 8 | 2 | 6 | 5 | 9 | 3 | 7 | 4 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 3 | 1 | 8 | 2 | 4 | 9 | 5 | 7 |
| 8 | 5 | 9 | 7 | 6 | 3 | 4 | 2 | 1 |
| 7 | 4 | 2 | 1 | 5 | 9 | 8 | 3 | 6 |
| 5 | 2 | 4 | 9 | 3 | 7 | 6 | 1 | 8 |
| 1 | 9 | 8 | 6 | 4 | 5 | 2 | 7 | 3 |
| 3 | 7 | 6 | 2 | 1 | 8 | 5 | 4 | 9 |
| 4 | 1 | 3 | 5 | 9 | 6 | 7 | 8 | 2 |
| 2 | 6 | 7 | 4 | 8 | 1 | 3 | 9 | 5 |
| 9 | 8 | 5 | 3 | 7 | 2 | 1 | 6 | 4 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 1 | 5 | 6 | 9 | 4 | 8 | 7 |
| 9 | 8 | 6 | 4 | 3 | 7 | 5 | 2 | 1 |
| 7 | 5 | 4 | 8 | 2 | 1 | 3 | 9 | 6 |
| 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 5 | 9 | 7 | 8 |
| 2 | 7 | 9 | 3 | 8 | 6 | 1 | 5 | 4 |
| 5 | 1 | 8 | 9 | 7 | 4 | 6 | 3 | 2 |
| 8 | 3 | 5 | 1 | 4 | 2 | 7 | 6 | 9 |
| 1 | 9 | 7 | 6 | 5 | 8 | 2 | 4 | 3 |
| 4 | 6 | 2 | 7 | 9 | 3 | 8 | 1 | 5 |

მე-9 გვერდი: 1. სინიორინა; 2. კენგურუ; 3. ბრონტე; 4. სურწყუნისი; 5. ნანკინი; 6. ექსპლუატაცია; 7. განიმედი; 8. რუსი; 9. ჭყვიში; 10. ვიგვამი; 11. ივეკო; 12. სინუსი; 13. „ილიადა“; 14. ამაზონი; 15. მჭლე; 16. ინგირი; 17. ნიუ; 18. რძე; 19. ლომი; 20. ზმაი; 21. ვიტ; 22. პიანინო; 23. „აუდი“; 24. პეგასი; 25. ინდიელი; 26. იალაღი; 27. იმპლანტაცია; 28. გინზა; 29. ნავი; 30. მაცა; 31. იარალი; 32. სიმი; 33. ინგა; 34. ატორნეი; 35. დარვინი; 36. მი; 37. ფსიტი; 38. სტელა; 39. ნალი; 40. უხა; 41. ნაი; 42. ომი; 43. ფლორა; 44. ტიბალდი; 45. თვე; 46. ხვალ; 47. ელი; 48. ილარიონი; 49. ბიგუდი; 50. ლეონი; 51. ამარეტო; 52. გორდია; 53. ოთურმა; 54. მირონი; 55. ელინი; 56. ალჩუ; 57. ნო; 58. ბია; 59. ისრიმი; 60. ხაო; 61. სტარტი; 62. დრედები; 63. რაკია; 64. „სერა“; 65. ცაიში; 66. კაა; 67. დოდე; 68. ბებია; 69. ციციკორე; 70. ტორფი; 71. სან; 72. ტილ; 73. რიბოკი; 74. არია; 75. ვან; 76. რიჩი; 77. ნიავი; 78. ჩე; 79. რიო; 80. რეოსტატი; 81. ჩიჩია; 82. მაიკო; 83. ფა; 84. ნაია; 85. სიტე; 86. მანი; 87. ფშა; 88. სოფა.



# გაცნობის საიტი წყვილს სურნელით შეარჩევს

ინერნეტსაიტების მეშვეობით გაცნობა დღეს ჩვეულებრივი მოვლენაა. პარტნიორის არჩევისას რომ არ შეცდეთ და შეხვედრებზე დრო არ დაკარგოთ, ახალი სერვისის ავტორები ონლაინგაცნობის უპრეცედენტო მომსახურებას გვთავაზობენ — სურნელის მიხედვით წყვილის კომპიუტერულ შერჩევას. საიდუმლო არავისთვისაა, რომ ყოველ ადამიანს დამახასიათებელი უნიკალური სურნელი აქვს, რომელიც ექსპერტთა მოსაზრებით, საერთო ინტრესებისა და გარეგნული სიმპათიის მიუხედავად, თუ არ შეესაბამება პარტნიორს, წყვილს შორის ძლიერ გრძნობებზე საუბარი ზედმეტია. კომპანია Basisnote-ის საიტი მომხმარებელს სწორედ ამ მეთოდით ურჩევს პარტნიორს. შვეიცარელი სწავლულები სპეციალურ ტესტს ამუშავებენ, რომელიც ნერწყვის დახმარებით, ინდივიდუალური სურნელის კოდს გამოთვლის, მას მომხმარებელი საკუთარ პროფაილზე განათავსებს და ყოველი სტუმარი ავტომატურად დაადგენს, შესაბამისობაშია თუ რა მათი სურნელი ერთმანეთთან. ტესტი 20-წამიანია, მისი ყიდვა კი შესაბამისი პროფილის მაღაზიებში იქნება შესაძლებელი.

# „დანაშაული“ და „სასჯელი“ ჩამოასხეს

დოსტოევსკის ფსიქოლოგიური პროზა დიდი პოპულარობითა და პატივისცემით სარგებლობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. დიდი რუსი მწერლის ნაწარმოებებმა გავლენა მოახდინა ლუდსახარშ Stone Brewing-ის წარმომადგენლებზეც, რომლებმაც ჩამოასხეს ლუდის ორი სახეობა — „დანაშაული“ და „სასჯელი“, რომელიც განსხვავებულ ბოთლებში იყიდება, ოღონდ ერთად უნდა მიირთვათ, გარკვეული თანმიმდევრობით. ორივე ლუდი სპეციალურ, მუხის კასრებში ისხმება, როგორშიც ჩვეულებრივ ამერიკულ ბურბონს აყენებენ, ეს კი ქაფიან სასმელს რბილ და განსაკუთრებულ გემოს სძენს.




ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.

# დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

125
დაცვის პოლიცია




GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

**GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).




# გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!




